„მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი, როგორც შემეძლო"...

ნიკოლაძის გზით

ეროვნულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთი № 3 (258) 25 მარტი შაბათი, 2017 წელი; ფასი 1 ლ.

პრემიერ-მინისტრმა მალთაყვის სანაპირო ზოლის მშენებლობა დაათვალიერა

მე-2-გვ.

პარლამენტის ფოთის მაჟორიტარი დეპუტატის ირაკლი ხახუბიას ინიციატივით

გარემოს დაცვის კომიტეტის სხდომა გაიმართა

მე-2-გვ

დემოკრატიის პარადოქსები:

ხალხის „რჩეული" პარლამენტარი „ნაცები" აგრძელებენ ქვეყნის ნგრევას - სტრასბურგი „რუსთავი-2" საქართველოს წინააღმდეგ

საუჯუნის დანაშაული ეკლესიის წინააღმდეგ, ბათუმის ღამე და ბაჰთლომეს ღამის მოლოდინი

მე-2-გვ

გაზაფხული, ქალები და მხიარული დღეები ფოთში

მე-3-გვ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი სათათბირო მოქმედებს

გადავარჩინოთ პალიასტომის ტბა

მე-4-გვ

ფაჩნავაზის და ქუჯის ძეგლი სიხეგოჯთან, ისტორიულ ადგილზე უნდა დაიდგას

მე-6-გვ

30 წელი-ხალხის სამსახურში

მილოცვა ალფონზ მეტაქსას

გულწრფელად გილოცავთ სამსახურეობრივ იუბილეს, ნაღდ ფოთელს, ფოთის საპატიო მოქალაქეს, ფოთელებზე უსაზღვროდ შეყვარებულ კაცს. თქვენი ცხოვრება თანაქალაქელთა კეთილდღეობისათვის ზრუნვას მიეძღვნა. არცთუ დიდი ფინანსური შესაძლებლობის მიუხედავად შესანიშნავი კოლექტივის მხარდაჭერით მაინც ახერხებდით დახმარებოდით ადამიანებს, შეჭირვებულებს, დევნილებს. ამიტომაც მრძანდებით საზოგადო კაცი, ყველასგან დაფასებული, მუდამ იუმორითა და ხალისით სავსე მიუხედავად უამრავი პრობლემისა.

კვლავაც დიდხანს სიცოცხლესა და ხალხის სამსახურში ყოფნას, სიხარულს, მედნიერებას გისურვებთ ჩვენი ძმაო და მეგობარო!

მეგობრები

/შემდეგ ნომერში უფრო ვრცლად გიამბობთ მის 30-წლიან საქმიანობაზე/

მილოცვა

ალეკო დოლმაია - 55

მზე შუბისტარზე-ცხოვრების შუადღე

მე-7-გვ



„ის ურჩევნია მამულსა"...

ჯაბა თურქია - ჩემპიონი

2017 წლის 25–26 თებერვალს თბილისის ძიუდოს აკადემიაში დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი უმცროსი ასაკის ჭაბუკებში, სადაც საქართველოს ჩემპიონის ტიუტული მოიპოვა ფოთელმა ელიზბარ (ჯაბა) თურქიამ, რომელიც ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონის მურთაზ თურქიას შვილია, მომავალი დიდი სპორტსმენის მწვრთნელი გახლავთ კოტე ხუბუტია.

ვუსურვოთ წარმატებები ჯაბა თურქიას ევროპის ჩემპიონატებზე

ეკონომიკა

ფოთში, სექტემბერში 3000 კაცზე სამკერვალო ფაბრიკა გაიხსნება

მე-5-გვ

დიდი იუბილე

ოთარ ხომერიკი - 80

მე-8-გვ

შემობრუნება ზღვისკენ

პრემიერ-მინისტრმა მალთაყვის სანაპირო ზოლის მშენებლობა დაათვალიერა

გიორგი კვირიკაშვილი: ფოთი ისტორიული ქალაქია, რომლის პოტენციალი უნდა გამოვიყენოთ, მალთაყვის საკურორტო-რეკრეაციული ზონის განახლება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს, როგორც ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ასევე - მალთაყვის საკურორტო ზონაში ტურიზმის განვითარებას.

ფოთში მალთაყვის სანაპირო ზოლის მშენებლობის პირველი ეტაპი სრულდება, - მიმდინარე სამუშაოები ამ დღეებში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა დაათვალიერა. მშენებლობის მიმდინარეობაზე პრემიერს ესაუბრა ქ. ფოთის მერი ირაკლი კაკულია.უკვე მოწყობილია 3 კილომეტრამდე სიგრძის ახალი პლაჟი, ხოლო პროექტის დასრულების შემდეგ მალთაყვას 7-კილომეტრიანი კეთილმოწყობილი პლაჟი ექნება. პრემიერმა აღნიშნა, რომ მალთაყვის საკურორტო-რეკრეაციული ზონის განახლება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს, როგორც ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ასევე - მალთაყვის საკურორტო ზონაში ტურიზმის განვითარებას. "ეს გახდება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკურორტო მიმართულება. ჩვენ სერიოზული გეგმები გვაქვს ფოთთან დაკავშირებით. ეს არის ისტორიული ქალაქი, რომლის პოტენციალი უნდა გამოვიყენოთ", - აღნიშნა პრემიერმა. მალთაყვის სანაპირო ზოლის მშენებლობის პროექტის ღირებულება 18 500 000 ლარია და ის რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება. სამშენებლო სამუშაოებზე დასაქმებულია 15 ადამიანი. პროექტი 2018 წელს დასრულდება.

პარლამენტის ფოთის მაჟორიტარი დეპუტატის ირაკლი ხახუბიას ინიციატივით გარემოს დაცვის კომიტეტის სხდომა გაიმართა

ფოთის მაჟორიტარი დეპუტატის ირაკლი ხახუბიას ინიციატივით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ,,საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიულ სამსახურში "საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის სხდომა გაიმართა. კომიტეტის წევრები ადგილობრივ მეწარმეებს, მონადირეებს და მეთევზეებს შეხვდნენ, მათი პრობლემები მოისმინეს და გადაჭრის გზებზე იმსჯელეს. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. მონადირეებმა ბუფერული ზონის მოხსნა და პალიასტომის ტბაზე ძრავიანი ნავებით გადაადგილების უფლება მოითხოვეს. პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის წევრები შეკრებილებს დასახელებული პრობლემების განხილვას დაჰპირდნენ. „გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტში რამოდენიმე წერილი შემოვიდა ფოთში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით და მივიღეთ გადაწყვეტილება ჩამოვსულიყავით და შევხვედროდით ადგილობრივ მეწარმეებს და

განგვეხილა ის პრობლემები, რომლებიც გადაჭრას საჭიროებს. აქ კომიტეტის უმრავლესობაა წარმოდგენილი. ეს შეხვედრა ქალაქის მაჟორიტარი დეპუტატის, ირაკლი ხახუბიას ორგანიზებით შედგა. აქ დასახელებული პრობლემების განხილვის შემდეგ, ჩვენ შევეცდებით გვერდში დავუდგეთ ადგილობრივ მეწარმეებს და ხელი შევუწყოთ, რათა წარმატებით განახორციელონ თავიანთი საქმიანობა", -განაცხადა კომიტეტის თავმჯდომარემ კახა კუჭავამ. შეხვედრაზე მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი ხახუბიამ, ხაზგასმით აღნიშნა თევზის სუნთან დაკავშირებული საკითხი და დაიგეგმა, როგორ დაიხვეწოს გარემოსდაცვითი დასკვნების შემუშავება და რეგულაციების გატარება, რომელიც აღმოფხვრის აღნიშნულ პრობლემას.

დემოკრატიის პარადოქსები-ვის აფინანსებს სახელმწიფო?- ხალხის ,,რჩეული" პარლამენტარი ,,ნაცები" აგრძელებენ ქვეყნის ნგრევას - სტრასბურგი - რუსთავი-2 საქართველოს წინააღმდეგ საუკუნის დანაშაული ეკლესიის წინააღმდეგ, ბათუმის ღამე და ბაჩოლოგეს ღამის მოლოდინი

მას შემდეგ რაც ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, არათუ გაამყარა იგი - შეარყია. მტრებმა შინ და გარეთ შეგნებულად თუ უგნურებით დაგვაკარგვინეს ტერიტორიები, წაგებული დავრჩით აფხაზები, ოსები და ქართველები. რუსეთი რომ მტერია არახალია, მაგრამ არანაკლებ უმტრეს ,,ნაცებმა" ქვეყანას, გაჭირვებით, უსახსრობით განაწამებმა თითქმის მოსახლეობის ნახევარმა უომრად დატოვა საქართველოს ტერიტორია, ეზო-კარი და უცხოეთში გადაიხვეწა, როგორც დევნილი (ხალხიც იკარგება და ტერიტორიაც). ეს იყო ,,ნაცმოძრაობის" 9 წლიანი მმართველობის ერთ-ერთი შედეგი., რომლებიც ასრულებდნენ ევროპულ -ამერიკულ დავალებებს და დღესაც აგრძელებენ ქვეყნის ნგრევას. სულ რაღაც 10 დღეში ერთმანეთის მიმდევრობით თავი იჩინა საუკუნის დანაშაულმა ეკლესიისა და პატრიარქის წინააღმდეგ, ბათუმის მართვადი ქაოსი, სტრასბურგი და რუსთავი -2 საქართველოს წინააღმდეგ. ქვეყნის წინააღმდეგ მართლაც კარგა ხანია იბრძვიან, ებრძვიან ყოველივე ქართულს, ეროვნულს, სამივე მიმართულებით: ენა, მამული, სარწმუნოება. ნაწილობრივ ამას აკეთებს უცხო ქვეყანა, რომელიც შინაურ-რენეგატს ეყრდნობა. საზოგადოებრივი პოლიტიკური ცხოვრება ,,ნაცმოძრაობასთან" დაპირისპირებაში გადის, რომელმაც ხალხი ლამის დემოკრატიის ატრიბუტად აქციოს, მისი უფლებაც და ძალაც სხვისი ანუ ხელისუფლების ხელში იყო და როგორც იტყვიან, ,,ვისაც ჩააცვა იმან გახადა სწორედ". ივანიშვილმა ერთი ბრძოლა მოიგო, მაგრამ არანაკლები დიდგორი წინაა, ერთი-ნაცმოძრაობა უნდა ჩამოაცილოს საბოლოოდ ქვეყანას და მეორე- ეკონომიკის, ბიზნესის აღორძინება რეალურად უნდა დაიწყოს. იმდენად მძიმე ვითარებაა ქვეყანაში, უმუშევრობა ტანჯავს ადამიანებს, ეს თვითმკვლელობის ტოლია, განსაკუთრებით ახალგაზრდებისათვის, რომელთაც უსახსრობის გამო ვერ შექმნეს ოჯახი და თუ შექმნეს დაენგრათ. ავადმყოფობა, უწამლობა მასიურად დაერია ხალხს და ქართველობა გადასარჩენია. თავისუფლება, უპირველესად, სოციალური მდგომარეობაა, კაცს უნდა ეცხოვრებოდეს თავის ქვეყანაში ადამიანური ბედნიერებით, ესაა პიროვნების თავისუფლების ამოსავალი. ,,ოცნება" ხალხის მხარდაჭერის გარეშე ვერ გაუმკლავდება იმ ძალებს, რომლებიც ,,ნაცების" გვერდითაა და შეიძლება გადაიყოლიოს საბოლოოდ დამარცხებისას, როგორც უფსკრულის წინმდგომმა ძალამ.

ხალხში ბოლო მოვლენების შემდეგ გაჩნდა შიში მოსალოდნელი ახალი არეულობისა და უბედურებისა. ერთი ტერაქტები დარჩათ და ამაზეც არ დაიხევენ თუ დასჭირდათ. დღეს აჭარა, ხვალ ჯავახეთი, ზეგ სამეგრელო, დაპირისპირება თურქეთთან, აზერბაიჯანელებთან, სომხებთან ეთნიკურ-რელიგიურ ნიადაგზე და ა.შ. სოციალურ სიდუხჭირეს და პრობლემას რა გამოლევს ქვეყანაში. ქვეყანა ასაშენებელია, ჩვენ არაგვაქვს ერთიანი იდეოლოგია, როგორც ისრაელს, როცა თავიდან ყველას ერთნაირი ხელფასი ჰქონდათ ვიდრე ფეხზე დადგებოდნენ. აქ იყო ურთიერთ სიყვარული, რაც ასე აკლია ქართველობას.იყო გაგება ერთიანი ფენომენის ,,სამშობლო, როგორც უფალი,

ერთია ქვეყანაზედა". ამის მაგივრად ,,ნაცების" ხელისუფლებამ ხალხის ჩაგვრისა და დაუსჯელი დანაშაულის გარემო შექმნა სიღარიბით მართვის მეთოდით. ნეოფაშისტების თუ ნეოლიბერალების დევიზი იყო ეროვნული ცნობიერების ნგრევა, განათლების ერთიანი სისტემის მოშლა. კულტურის დეგრადაცია. მაშინ, როცა ეროვნული ღირსების დაცვის მაგალითი ხელისუფლებას უნდა მოეცა. ბოლო მოვლენებმა აჩვენა, რომ მათ ვერ გამოყავთ ხალხი ქუჩაში.მაგრამ ღირსების შელახვა, სოციალური ჩაგვრა, მწყობრიდან გამოიყვანს ადამიანთა მოთმინებას, სირარიბე და უმუშევრობა და გაჭირვება ყველაზე დიდი პოლიტიკური მოთამაშეა. ეს იმ ფონზე, როცა ,,ნაციონალები" კვლავ ინარჩუნებენ სამსახურებს, თანამდებობებს, კოჰაბიტაცია ასეთ მავნებელ ძალასთან საშიშია, პრობლემა შეიძლება მოიხსნას მხოლოდ სამართლიანობის აღდგენით. თანაც ამას ემატება ფსევდოპარტიები, ფსევდო ოპოზიცია, არასამთავრობოები, პრეზიდენტი, სახალხო დამცველი და ა.შ. დემოკრატიის და ევროპელობის ნიღაბს ამოფარებულები, რომელთა თამაშს თამაშობს ფსევდომედია რუსთავი-2. იგი განსაკუთრებით საშიში იარაღია ნაციონალების ხელში. ან რომელი ქონების მეპატრონე ესენია, გამოხატვის თავისუფლება სხვისი თავისუფლების ხარჯზე, შეურაცხყოფა და ცილისწამება, ესაა დემოკრატია? არის თავისუფალი სიტყვა, მაგრამ არის ბინძური თავისუფალი სიტყვა და ამაზე ხომ უნდა აგონ პასუხი. ამ ტელევიზიას მილიონებად ღირებულ ქონებას ჩუქნიან, ხოლო სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პრესა-ტელევიზიები უყურადღებოდაა მიტოვებული, განსაკუთრებით რეგიონებში, რაც უსამართლობის განცდას ბადებს.

ორგანიზებულ არეულობას და მართვად ქაოსს აჩვევენ ქვეყანას. მუსიკის ფესტივალების ქალაქში ფეიერვერკების, სიმღერის ნაცვლად წივილ-კივილი და ცეცხლი ბობოქრობდა. ისიც სათქმელია, რომ პატრულის გულგრილობას და ზედმეტ სიმკაცრეს, როცა ადამიანებს უჭირთ, ადეკვატური რეაქცია მოჰყვა. შეიძლებოდა თუ არა მომხდარის აცილება, რა თქმა უნდა შეიძლებოდა, თუმცა სპეცსამსახურები ზოგჯერ წვრილმანი საქმეებით არიან დაკავებულები და სახელმწიფო გადატრიალების საშიშროებას სათანადოდ ვერ აფასებენ. აქ სხვა მასშტაბებია საჭირო. ამას აკეთებს მრავალმხრივ მხარდაჭერილი პოლიტიკური ძალა, იყენებს სოციალურ ვითარებას,რომელიც თავად შექმნა, როგორც ნელი მოქმედების ნაღმები.

ღღემდე ვერ გაგვირკვევია რომელ წყობაში ვცხოვრობთ, რა გვინდა- საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო რესპუბლიკა, აქაც პირადი ინტერესებია წინა პლანზე, ,,ნაცებს" საპარლამენტო პერსპექტივა არა აქვთ და პრეზიდენტისკენ იხრებიან. უმრავლესობა მარგველაშვილის გამო ასუსტებსო ამ ინსტიტუტს, არადა, დაავიწყდათ რომ სააკაშვილმა ,,უბის წიგნაკად" აქცია კონსტიტუცია.

ისმება კითხვა-ხალხის თუ პარტიის პრეზიდენტი? რამეთუ უმრავლესობას აქვს მისი არჩევის შანსი, სად არის გამოსავალი? ალბათ, კიდევ ბევრს იდავებენ, სამწუხაროდ, ამასობაში ცხოვრება თავისი გზით მიდის, იცვლებიან მთავრობები, უცვლელია ხალხის მდგომარეობა. დემოკრატიის წყაროც მალე დაშრება და ხელისუფლებაც ვერ დარჩება მოგებული, თუ ასე გაგრძელდა.

როდის დადგება დრო, როცა კანონი, წესი იქნება უზენაესი, რომელსაც ყველა დაემორჩილება, ყველა მათზე იქნება დამოკიდებული და ქაღალდზე არ დარჩება, როგორც სააკაშვილის დროს, როცა ერთ კაცს ემსახურებოდა ქვეყანა, ნეტავ ვის ენატრება ეს უბედურება - თანამედროვე ნერონი თუ კალიკულა.

9 წლიანმა რეჟიმმა შეარყია სამართალდამცველების ავტორიტეტი, ერთი სიტყვაც არ დაცდენია ვინმეს, იმაზე, რომ უშიშროების სამსახურმა კარგად იმუშავა და პატრიარქი გადარჩა. რუსთავი-2 - დან კი მეუფე პეტრემ იმდენი აგინა ეკლესიას და სინოდს ,,ნაცების" დაკვეთით, ისე დაიცვა ,,საბრალო" ღვთისმოსავი მკვლელი, იქნებ, გულიც არ დასწყვეტოდა ხალხს მოსალოდნელ უბედურებაზე.

ოპერატიულობით გაგვაოცა ევროსასამართლომ, რომელმაც გირგვლიანის მკვლელობის საქმეს 7 წელი მოანდომა, ხოლო ,,რუსთავი-2"-ის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებას 1 სთ-ში დაადო ვეტო. სხვათაშორის, ,,რუსთავი-2"-ისგენ დირექტორმა ნიკა გვარამიამ თქვა, რომ 5 მილიონად ჩვენ ვიყიდითო ამ ტელევიზიას, გამოდის მათი არ ყოფილა ეს ქონება, ან საიდან ამდენი ფული, როცა პროფესიონალ ჟურნალისტებს მინიმალური ხელფასიც არა აქვთ.

პარლამენტარები ,,ნაცების" სახით კანონშემოქმედებითი მუშაობის ნაცვლად, პროვოკაციებით არიან დაკავებულები. ქვეყნის არევაზე ფიქრობენ, ტერორისტებს რითი სჯობია ესენი, თანაც სახელმწიფო ხელფასს უხდის, აფინანსებს მათ და მათსავე პარტიებს. ვინ იცის, იქნებ ბათუმის ღამეს არ დასჯერდნენ და ბართლომეს ღამეც მოგვიწყონ.

ბათუმიდან თბილისამდე არცთუ ისე შორია. სიფხიზლის გაკვეთილები საკმარისია, სულ შეცდომებზე სანამ უნდა ვიაროთ?.

ზ. აბრალავა.

დედის დღეები ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში

ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ქ.ფოთის ვ.ბენიას სახელობის დრამატულ თეატრში

გაზაფხული, ქალები და მხიარული დღეები ფოთში

გაზაფხულის პირველი დღეები...

დედის დღე ქალთა დღე-სხვა, უცხო სამყაროს დასაწყისი, ამ სიმბოლოებს შეეფერებოდა თეატრალიზებული დღეები ფოთში. მერიის ახალმა სამსახურმა-სახელოვნებო ცენტრმა (დირექტორი ნინო პაჭკორია) სულ სხვა რაკურსით წარმოაჩინა ეს დღესასწაულები, ახლებური რეჟისორული გადაწყვეტა, საკუთარი ძალების მოსინჯვასთან ერთად. ასევე იყვნენ მოწვეულები სხვადასხვა ქალაქებიდან.

ვიდრე 3 მარტის ღონისძიება გაიმართებოდა საზრიანთა და მხიარულთა კლუბის კონკურსმა გაახალისა ქალაქი, რამაც კიდევ უფრო წარმოაჩინა თანამედროვე ახალგაზრდობის დიდი ინტელექტუალური შესაძლებლობები.

ამას მოჰყვა ფესტივალი ,,დედა შვილობა", რომელიც ყოველ წელს ეწყობა ფოთის სტუდია - ,,თოლიას" დირექტორის დარეჯან გეფერიძის ინიციატივით.

3 მარტი - დედის დღისადმი მიძღვნილი საღამო-კონცერტი დიდხანს გაახსენდება მაყურებელს ცოცხალი შესრულებით, ვიდეოკოლაჟებით, ფონოგრამებით, სხვადასხვა ინდივიდუალურ შემსრულებელთა ჩართულობებით.

განსაკუთრებით მიმზიდველი იყო თეატრალიზებული ქალთა დღე, ფოთის თეატრში. საზეიმო მასკარადის მონაწილენი, შესასვლელში, ფოიეში, დარბაზში მარიონეტები, ცოცხლები გეგონებოდათ...

ღონისძიების დაწყებამდე თეატრის ვესტიბულში სახელოვნებო სასწავლებელმა (მაია კორკელია) სარვამარტო გამოფენა წარმოადგინა კონკურსის მოინაწილეებს მიესალმა ქალაქის მერი, ბატონი ირაკლი კაკულია და წარმატებები უსურვა ხელოვნების დიდ ასპარეზზე.

აღსანიშნავია, რომ ყველა ამ დიდ ღონისძიებას მასპინძლობდა თეატრი (დირექტორი თენგიზ ხუხია), რომლის კოლექტივიც ასევე ჩართული იყო საღამო- კონცერტების, განსაკუთრებით სარვამარტო ღონისძიებაში, რაც მისასალმებელია - ქალაქი ხომ ერთია და მისი პრესტიჟიც ყველას საზრუნავია.

როგორც ავღნიშნეთ, ეს გათანამედროვებული თეატრალიზებული ღონისძიებები ძირითადად ხელოვნების ცენტრის ძალებით გაიმართა, ამასთან ერთად ლიტერატურულ-მუსიკალურ კომპოზიციებში ჩართული იყვნენ ლეგენდარული ანსამბლ ,,რუსთავის" წევრები. მათ შორის იყო ფოთელი, მართლაც გამორჩეული ხმის და სმენის პატრონი გიორგი ალექსანდრია, მაყურებელი ასევე გულთბილად შეხვდა ქუთაისის პანტონიმის თეატრის, ფოთისა და ზუგდიდის საესტრადო ანსამბლების ,,ბექტექსისა" და ,,ანდერსევენის" შემოქმედებას.

როგორც ყოველთვის განუმეორებელი იყვნენ თეატრის მსახიობები ჯანო იზორია, გია სურმავა, ფატიმა აბრახამია, მათ გაალამაზეს, დაამშვენეს საღამო მართლაც დიდებული არტისტობით, ცეკვით და სიმღერით. ორიგინალური იყო ღონისძიების გახსნა-სცენის ცენტრში მარიონეტი ვიოლინოთი და მიმები ადიან სცენაზე და ხსნიან ფარდას. სცენაზე დგანან გოგონები ფერადი კაბებით და ლევან მაშავა კითხულობს ლეგენდას ქალზე და ყოველი ფრაზის შემდეგ აცოცხლებს გოგონებს, ისინი იწყებენ ცეკვას. ცეკვის ფონზე იგი კითხულობს ლექს ,,როგორ შექმნა ღმერთმა ქალი"

,,აიღო უფალმა მზის სხივთა კონა,
მთვარის ცივი ელვარება, ფურ ირმის თრთოლვა, ჯეირანის ალერსიანი გამოხედვა,
გველის სილამაზე, ფარშევანგის სიდინჯე,
ბულბულის ხმა, მტრედის უწყინარობა,
ლერწამის ტანადობა, ვარდის სურნელება, თაფლის სიტკბო,
წყაროს სისპეტაკე და ჰაერის სიმსუბუქე.

აურია მან ეს ყველაფერი და
ძალიან მსუყე რომ არ გამოსულიყო სხვა თვისებებიც დაამატა:
მელიის ეშმაკობა, გველის შხამი, ზვიგენის სიხარბე, ვეფხვის სისასტიკე, კაჭკაჭის ენა, ღრუბლის ცრემლთა დენა, ქარის ცვალებადობა, კურდღლის შიში, შეაზავა ეს მასალა, სული ჩაჰბერა და ჩააბარა მას, ვისაც უთხრა: გაუფრთხილდი, განმეორება აღარ იქნება.

ცეკვის დასრულებამდე შემოდის ჯულიეტა და მღერის ,,მზეო ლილეო". წამყვანი იწყებს ლექსის კითხვას-

,,ქალია ყველაფრის თავი და თავი,
ქალია ცხოვრების მთავარი აზრი,
ქალია სიცოცხლე, ქალია დარდი,
ქალია ამ ქვეყნად ყველაზე კარგი.
ქალია სინათლე, ქალია ჰანგი,
ქალია ეკალში გაშლილი ვარდი,
ქალია მტანჯველი, ქალია მარტი,
ქალია კაცების მთავარი განძი.
ქალია ოცნება, ქალია ალი,
ქალია ვულკანი, ცეცხლი და ქარი,
ქალია ყველაფრის თავი და თავი,
ქალია მთავარი ქალია ქალი!"

შემდეგ მღერის რუსთავის კვარტეტი ,,ვარდები არ არიან".

ოვაციები, ყვავილები, ისევ ლექსები:

,,თქვენთვის არ უთქვამთ ქალბატონო, რომ გაგხართ აპრილს,
რომ გაზაფხულმა დია რძისფერ ნისლში გარწიათ,
კარგა ხანია მყვირალობა დაიწყო მთაში
და ამიტომაც შვლებიანი კაბა გაცვიათ"...

ლექს მოყვება ცეკვა ,,ლიბერტ ტანგო".

მაყურებელი ოვაციებით შეხვდა უბერებლ ბიჭებს-სცენაზეა ანსამბლი ,,ფაზისი" (ხელმძღვანელი გია ჯანელიძე) სიმღერით ,,ეკეცე-ეკეცე", ჭრელაჭრელა კაბა". ანსამბლის წევრები: ჯანო დანელია, სოსო გვაძაბია, თემურ ფიფია, ბიძინა თავბერიძე, ნუგზარ დადიანი და ტატო მარიონეტი ,,ჯექსონს" განასახიერებს, მართლაც დიდი ოსტატობა და სიყვარულია ჩადებული ამ ქმნილებაში.

ბედის ბორბალი ყველასთვის ბრუნავს, გალაქტიონი ესალმება სიყვარულს, მზეს და უკვდავებას...

,,უსიყვარულოდ ქვეყანაზე ღიმილიც კვდება,
კოცნის სურვილიც იკარგება უსიყვარულოდ,
უსიყვარულოდ გული გულსაც ვეღარ პოულობს,
და ვერც სიცოცხლეც ვერ ზეიმობს უსიყვარულოდ.
უსიყვარულოდ დედის ხელსაც ვეღარ დაკოცნი,
მზის სხივიც კი არ იკბინება უსიყვარულოდ,
უსიყვარულოდ ბაღში ვარდი ჭკნება უაზროდ,
წყაროც კი შრება მარტოსული, უსიყვარულოდ.
უსიყვარულოდ არ არსებობს არც სილამაზე,
არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ".

მარიკა ბუკიასა და კუსა ღადუას სევდანარევი სიმღერა -,,ვერ აგისრულე რასაც დაგპირდი". მუსიკის ფონზე შემოდის ფატიმა აბრახამია თეატრალური მინი - მიუზიკლით, რასაც დიდი მოწონებით შეხვდა მაყურებელი.

სიკო და ნიკო შესანიშნავად გააცოცხლეს ჯანო იზორიამ და გია სურმავამ და ისევ კვარტეტი მეგრული ,,ვა გიორქო მა".

ქალი? -ქალი მხნედ გაუძლებს ტარტაროზს და შაითანს,
ცხოვრებაში ყოველნაირ გაჭირვებას აიტანს,
რაც არ უნდა სუსტი იყოს შიში არ აქვს აღმართის
იქნებ ჩუმად აიტანოს უნებური დალატიც
თუ დაგჭირდა გულს უსიტყვოდ ამოიღებს მკერდიდან,
ოდონდ უალერსობას და გულცივობას ვერ იტანს,
მარტოობის წლები გულში გაეყრება ხანჯლებად,
შემოდგომის ყვავილივით ზეზეულად

დაჭკნება.

ქალს?... ქალს მარტო ნუ დასტოვებთ სანამ ქვეყნად არსებობთ,

ქლი?- ქალი საფერებლად გაჩენილა კაცებო!!!

მართლაც კარგად წარმოადგინეს კახიძის მუსიკის ფონზე პანტონიმა (მიმიების კომპოზიცია ცეკვა), ისევ ახმიანდა კვინტეტი-,,გაზაფხულის ბრალია". ქალბატონებს მიესალმა ბენდი ,,The backpakers" სიმღერით ,,სიყვარული ძნელია".

ისევ ლექსი -

,,სულაც არ მინდა შეგადაროთ მაისის ვარდებს ,
ხანმოკლე ზაფხულს სულაც არ გავს თქვენი მშვენება,
თქვენ სილამაზეს მასზე მეტი წყალობა გასდევს
რადგან არასდროს გიწერიათ გადაშენება".

ღმერთმა ქალი იმიტომ გააჩინა, რომ კაცი უყვარდეს,კაცი კი იმიტომ შექმნა- რომ, ქალი გააღმერთოს,ქალი ხომ ღვთისმშობელიცაა და ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში ქალს დიდი მოვალეობა აკისრია, რათა ქვეყანას აღუზარდოს დიდი კაცები, სახელოვანი ქალები, ეს ხომ რუსთველის ქვეყანაა, სადაც აღმერთებენ ქალებს, სადაც იტყვიან ,, მერა ღირსი ვარ შენი მშვენების", ღმერთმა ნუ მოშალოს ქართველის ქალის ღირსება და მისი დამფასებელიც...

ფოთს ისრაელის დელეგაცია სტუმრობდა

ანსამბლი ,,ფაზისი" ისრაელში საერთაშორისო ფესტივალზეა მიწვეული

ქალაქში სტუმრად იმყოფებოდა ფოთთან დამეგობრებული, ისრაელის ქალაქ კირიატ-იამის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან კირიატ-იამის ვიცე-მერი მორდი ფიზიცკი, ხაიფისა და ჩრდილოეთ ოლქის ქართულ-ებრაული კულტურისა და ხელოვნების ცენტრის თავმჯდომარე, ფოთის საპატიო მოქალაქე -შოთა წვენიაშვილი, მსოფლიო ხალხთა ეროვნული და კლასიკური ცეკვების ფესტივალ ,,კარმიელის" საზოგადოების პრეზიდენტი-აჰარონ სოლომონი და კულტურის სფეროს წარმომადგენლები.

დამეგობრებული ქალაქის დელეგაცია ფოთის მერმა ირაკლი კაკულიამ და საკრებულოს თავმჯდომარე ალექსანდრე თოფურიამ მიიღეს.

შეხვედრაზე კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი ქართველი და ებრაელი ხალხის მრავალსაუკუნოვან ურთიერთობას და მეგობრობის ტრადიციას. კირიატ-იამის დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნაობები.

დელეგაციის ჩამოსვლის მიზანი საერთაშორისო ფესტივალ ,,კარმიელში'' ანსაბლ „ფაზისის" მიწვევაა,რომელიც ისრაელში აგვისტოში გაიმართება.

ისრაელის დელეგაცია ესტუმრა სამხატრო სახელოვნებო სასწავლებელს, (დირექტორი მაია კორკელია). მათ დაათვალიერეს მხატვრული ტილოები, ქანდაკებები, ხალხური რეწვის ნიმუშები, მასპინძლებმა სტუმრებს სამახსოვრო საჩუქარი გადასცეს.

ისრაელის დელეგაცია მიიწვიეს ანსამბლ ,,ფაზისის" საანგარიშო კონცერტზე თეატრში, რომლის შესასვლელში მათ მრავალჟამიერით მიეგებნენ ცნობილი ლოტბარის, იროდიტიკარაძის პატარა ფაზისელები.

დარბაზი ოვაციით შეხვდა ებრაელ სტუმრებს და საქართველოს სამეფო დინასტიის წარმომადგენელს იოანე ბაგრატიონს. მუნიციპალურმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა ,,ფაზისმა" თავისი ხელწერა აჩვენა კოლხური თემატიკით.საქართველოს ყველა კუთხის ფოლკლორი ბრწყინვალედ წარმოადგინეს სცენის პატარა ჯადოქრებმა. რეჟისორმა და მსახიობმა რობერტ ნადარაიამ ჩვეული მხატვრული ოსტატობით წაიკითხა ნაწყვეტი პიესიდან ,,ვალი". აღსანიშნავია, რომ კონცერტში რამდენიმე თაობა იღებდა მონაწილეობას, ასე, რომ ანსამბლის ხელმძღვანელების, ახმედ ამბალიასა და გიგლა თურქიას მართლაც უდიდესი მონდომება, შრომა და შედეგი სახეზეა. სტუმრებს მიესალმა მერიის კულტურის სამსახურის უფროსი ირმა გუგუშვიილი, ქალაქის მერი ირაკლი კაკულია, საკრებულოს თავმჯდომარე ალექსანდრე თოფურია. ემოციური და შთამბეჭდავი იყო ქართველთა და ებრაელთა კულტურისა და ხელოვნების ცენტრის თავმჯდომარის შოთა წვენიაშვილის გამოსვლა. აღსანიშნავია, რომ ცნობილი პიროვნების ფოთის საპატიო მოქალაქის შოთა მეგრელიშვილის ქალიშვილის ლიანა მეგრელიშვილისა და ქალაქის მერის ირაკლი კაკულიას მონდომებით ორი ქალაქი ფოთი და კირიატნამი დაძმობილდა, უკვე გაცვალეს დელეგაციები, აგვისტოში ანსამბლი ,,ფაზისი"მონაწილეობას მიიღებს ისრაელის საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალზე.

წარმატებებს ვუსურვებთ ჩვენს თანაქალაქელებს ხელოვნების დიდ გზაზე, დაე კიდევ უფრო განმტკიცდეს ქართველტა და ებრაელთა მეგობრობა, რომელსაც საუკუნეების მიღმა უდევს სათავე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი სათათბირო მოქმედებს- გადავარჩინოთ პალიასტომის ტბა

2017 წლის 24 თებერვალს შედგა ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი სათათბიროს სხდომა, რომელსაც ხელმძღვანელობდა სათათბიროს თავმჯდომარე გერონტი კუხალეიშვილი.

დღის წესრიგი:

1. მდინარე კაპარჭინისა და პალიასტომის ტბის გამტკნარების პრობლემები და მისი გადაჭრის გზები.

მომხსენებელი: ურბანული განვითარების, არქიტექტურისა და ადმინისტრაციული ზედამხედველობის კომისიის
თავმჯდომარე – ვ. მხეიძე
კურატორი – გ. გვიჩია

2. გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური პრობლემების შესახებ.

მომხსენებელი: გარემოს დაცვისა და ეკოლოგიურ საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე – ლ. ჩხეტია
კურატორი – ბ. ჯალადანია

სხდომას ესწრებოდნენ:

ბეჟან ჯალადანია, გიგლა გვიჩია, ნაპო თოდუა, ნანა თოფურია, აკაკი დარჯანია, რამინ აბლოთია, ირაიდა ფაცია, გიზო ხარჩილავა, ვაგნერ მხეიძე, კორნელი სართანია, ჯემალ გურგენაძე, პაატა გეგენავა, ლუიზა ჩხეტია, დავით პაჭკორია, ჯემალ მიგინეიშვილი.

სათათბიროს თავმჯდომარემ დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი და აღნიშნა, რომ განსახილველი საკითხები ქალაქის მარადიული პრობლემებია და არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით აუცილებელია ქალაქის ხელმძღვანელობისა და მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ ქმედითი ნაბიჯების გადადგმა.

პირველ საკითხთან დაკავშირებით ვაგნერ მხეიძემ სათათბიროს სხდომას წარუდგინა პროექტი – მდინარე კაპარჭინისა და პალიასტომის ტბის გამტკნარების პრობლემები და მისი გადაჭრის გზები.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს: ნაპო თოდუამ, კორნელი სართანიამ, ჯემალ გურგენაძემ, პაატა გეგენავამ, ლუიზა ჩხეტიამ, დავით პაჭკორიამ.

საკითხი შეაჯამა სათათბიროს თავმჯდომარემ გერონტი კუხალეიშვილმა და აღნიშნა, რომ დასმული საკითხი მართლაც ძალიან აქტუალურია და აუცილებელია კვალიფიციური მიდგომა და სათანადო დონისძიებების გატარება.

სათათბირომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს კაპარჭინისა და პალიასტომის ტბის გამტკნარების პრობლემებისა და მისი გადაჭრის გზების შესახებ წარმოდგენილი კონცეფციები და წინადადებები თანანხმად №1 დანართისა და შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნოს ქ. ფოთის მერიასა და საკრებულოს;

2. მერიის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ეცნობოს მუნიციპალიტეტის საზოგადებრივ სათათბიროს.

მეორე საკითხთან დაკავშირებით: ლუიზა ჩხეტიამ სათათბიროს სხდომას წარმოუდგინა პროექტი – გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური პრობლემების შესახებ.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს: ბეჟან ჯალადანიამ, გიგლა გვიჩიამ, ჯემალ მიგინეიშვილმა, ჯემალ გურგენაძემ, ვაგნერ მხეიძემ, ნაპო თოდუამ, კორნელი სართანიამ, პაატა გეგენავამ.

საკითხი შეაჯამა სათათბიროს თავმჯდომარემ გერონტი კუხალეიშვილმა და აღნიშნა, რომ ქალაქის გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური საფრთხის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია მიზანმიმართული და კომლექსური ღონისძიებების გატარება.

სათათბირომ გადაწყვიტა:

1. ჩამოყალიბდეს ქალაქის მწვანე მშენებლობისა და ხანგრძლივი პერიოდის ლანდშაფტურ-არქიტექტურული დაგეგმარების ერთობლივი დონისძიებები;

2. შეიქმნას მერიის ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრვი მომსახურების სამსახურთან ქალაქის მწვანე მშენებლობის რეგულირების ცენტრი;

3. აღდგენილი იქნას სანერგე მეურნეობა დაახლოებით სამი ჰა მიწის ნაკვეთზე (ყოფილი სანერგე მეურნეობის, ყოფილი ციტრუსების მეურნეობის, ან ქალაქის ახლომდებარე ტერიტორიაზე), სადაც გამოყვანილი იქნება მარადმწვანე, სწრაფ და ნელა მზარდი, ასევე ფოთოლმცვენი სწრაფმზარდი და ნელმზარდი მცენარეები;

4. მოეწყოს ახალი სკვერები, პარკები, ხეივნები, მწვანე კუთხეები, განახლდეს ყვავილოვანი და ბუჩქოვანი საფარით ქალაქის სხვადასხვა უბანი;

5. არ მოხდეს მშენებლობით დამთავრებული ობიექტების ექსპლუატაციაში მიღება, ქალაქის მწვანე მშენებლობის რეგულირების ღონისძიებათა გათვალისწინების გარეშე;

6. მრავალწლიანი მცენარეების გასხვლები ჩატარდეს მორიგეობით, ან ახალი ნერგების ჩანაცვლებით, აღნიშნული ღონისძიებები უნდა გატარდეს მთელი ქალაქის მასშტაბით. სარგავი მასალის ასაკი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 5-8 წელს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მაღლივი კორპუსების მიმდებარე ტერიტორიების გამწვანებას;

7. მწვანე მშენებლობის საგაზაფხულო სამუშაოებთან დაკავშირებით უნდა ჩატარდეს არსებულ მცენარეებზე ხმელი და დაზიანებული ტოტების მოცილება, შემობარვა, კირის ხსნარით შეთეთრება, მსუბუქი გასხვლა-ფორმირება. ე.ი. დეკორაციული იერ-სახის მიცემა;

8. აღნიშნული ღონისძიებების გატარების უზრუნველყოფის რეგულირება მოეთხოვოს თვითმართველი ქალაქ ფოთის მერიის ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების სამსახურის უფროსს. მასვე დაევალოს მიღებული ზომების შესახებ მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივ სათათბიროს პერიოდული ინფორმაციის წარმოდგენა;

9. ქალაქში აუცილებლად ჩასატარებელია დასუფთავებისა და გამწვანების ერთთვიური ღონისძიებები – დევიზით „გადავაქციოთ ფოთი სანიმუშო სუფთა და მწვანე ქალაქად“.

საზოგადოებრივი სათათბიროს
თავმჯდომარე /გ. კუხალეიშვილი/
სათათბიროს მდივანი /ნ.თოფურია/

******

მოსაზრებები მდინარე კაპარჭინისა და პალიასტომის ტბის გამტკნარებასთან დაკავშირებით

პალიასტომის ტბა მცირეწყალსატევია, რომელიც მდებარეობს ქ.ფოთში მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. პალიასტომის ტბის ფართობი 18,2 კვ.კმ-ს, ხოლო წყალშემკრები აუზის ფართი შეადგენს 547კვ.კმ. წყლის მოცულობა 52.0 მლნ კუბური მეტრია, მაქსიმალური და საშუალო სიღრმეები შესაბამისად 3.2-2.6 მეტრია, რომელიც თანდათანობით იკლებს. ტბა თავისი ფართობით ერთ-ერთი უდიდესია რეგიონში არსებული 40-ზე მეტ ტბებს შორის. პალიასტომის ტბა მასთან ახლოს მდებარე ტორფიან ჭაობებთან ერთად, ახლო წარსულში განუმეორებელი სილამაზის პეიზაჟს ქმნიდა, მუდამ იყო მტკნარი და გამოირჩეოდა იქტიოფაუნის საკვები დეტრიტის სიმდიდრით, ტბაში 4 ათეულზე მეტი სახეობის თევზი ბინადრობდა, რომელთა უმრავლესობა მტკნარი წყლის ჯიშებით იყო წარმოდგენილი.

ახლო წარსულში პალიასტომის ტბა საქართველოს ტბებს შორის თევზით ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი წყალსატევი იყო.

მე-20 საუკუნის 30-იან წლებში მისი სასა-ქონლო თევზპროდუქტიულობა ჰა-ზე 100კგ-ს აღწევდა, 80-იანი წლების დასაწყისისათვის კი 20 კგ-ს არ აღემატებოდა.

ტბის თევზით გაღარიბება უამრავ სხვა ფაქტორებთან ერთად ძირითადად ორი მიზეზით მოხდა: უკონტროლო თევზჭერა, როცა თევზჭერის მოცულობა ბევრად აღემატება მის აღდგენით წარმოებას და ე. წ. დენის აკუმულატორების გამოყენება;

მეორე: - პალიასტომის ტბის დაკავშირება ზღვასთან (1924 წელს), მალთაყვისმოკლე და პირდპირი არხით, რამაც გზა გაუხსნა ტბისკენ ზღვის მლაშე წყლის შემოდინებას და მტკნარი ტბის მლაშე ტბად გარდაქცევას.

ქ.ფოთის დატბორვის თავიდან აცილების მიზნით 1924 წელს პალიასტომის მტკნარი ტბის შავ ზღვასთან დაკავშირებამ,წყლის მარილიანობა 1-2 პრომილიდან 13-14 პრომილამდე გაზარდა. ტბის წყლის გამლაშებამ მთლიანად შეცვალა მისი ჰიდრობიოლოგიური და ჰიდროქიმიური რეჟიმები, გამოიწვია მტკნარი წყლის ეკოსისტემის დეგრადაცია, რის გამოც მკვეთრად შემცირდა მტკნარი წყლისთევზის მრავალი სახეობები.

მალთაყვის არხის გაჭრამ გამოიწვია, აგრეთვე ტბის ჰიდრომორფოლოგიური და ჰიდროდინამიკური რეჟიმების შეცვლაც. ტბის საშუალო სიღრმე 1-მ-ით შემცირდა, შესაბამისად შემცირდა, აგრეთვე წყლის სარკის ფართობი. მდ. კაპარჭინამ მთლიანად დაკარგა მისი ფუნქცია, კალაპოტი მოილამა, დაჭაობდა, დამყაყდა და აშკარად ანტისანიტარიის კერად იქცა. აგრეთვე აღნიშნულ პროცესებს ხელი შეუწყო პალიასტომის ტბის აუზში სამელიორაციო სამუშაოებს პრაქტიკულმა, განხორციელებამ დიდ ფართობებზე ტყეების გაკაფვამ, ჭაობების დაშრობამ და დაშრობას, გადარჩენილმა ჭაობების ზედაპირზე წყალსაწრეტი არხების გაჭრამ, ჭაობის მდინარეთა დაკლაკნილი კალაპოტების ხელოვნურად გასწორებამ. პალიასტომის ტბის სამხრეთი სანაპირო უშუალოდ არის დაკავშირებული მალთაყვის ტორფის კარიერთან. ტორფის საბადოს ექსპლუატაციის პერიოდში გაჩენილი სხვადასხვა ზომისა და ფორმის დეპრესიებში ანუ ჩაღრმავებებშიმიმდინარეობას მკვდარი მცენარეული მასის და პირველ რიგში კი ტორფის 2,5 მეტრისსიღრმის აჭრილი ფენების ლპობა, რომლის შედეგად წარმოიქმნა მავნე ბიოგენური ელემენტები, რომლებიც გაედინება ტბაში და აბინძურებს მას. ტბის წყლის ბიოგენური დაბინძურების შედეგად შემცირდა წყლის გამჭვირვალობა და შესაბამისად ფოტოსინთეზის ინტენსიურობაც, მას მოყვა ორგანული ნივთიერებების ბიომასის შემცირებაც. უნდა აღინიშნოს, რომ ტბისწყლის ბიოგენურმა დაბინძურებამ ტბის გამარილიანებამ გამოიწვია მტკნარი წყლის პლანქტონის ბიომასის 15-ჯერ შემცირება. ბუნებრივია ამას არ შეიძლება უარყოფითად არ ემოქმედა იქტიოფაუნის პროდუქტიულობაზე, რადგან ისინი წარმოადგენენ თევზის ძირითად საკვებს.

პალიასტომის ტბის აუზის რელიეფი თითქმის იდეალურად ბრტყელია და 0,2-0,8 მეტრით არის ამაღლებული ზღვის დონიდან. ტბის ძირითადი მასაზრდოებელი მდ. ფიჩორია, ხოლო მის კვებაში მონაწილეობას ღებულობენ აგრეთვე, ტხორინა, შავწყალა, კუკანა და ა.შ. რომელთა კალაპოტები ძლიერ დაკლაკნილია და მასში წყლის მოძრაობის სიჩქარე არ აღემატება 0.5-1.0 მ.წ-ს რაც განპირობებულია უმნიშვნელო 0.001-0.002 დახრილობით ზღვისკენ. ყველაეს მდინარეები იკვებებიან ატმოსფერული ნალექებითა და ფილტრაციული წყლებით, რომლებიც საკუთრივ მონაწილეობას ღებულობენ ტბის წყლის გაჭუჭყიანებაში.

ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ პალიასტომის ტბის ყოფნა -არ ყოფნის საკითხი მთლიანად არის დამოკიდებული შავი ზღვის საშუალო მრავალწლიური დონის საუკუნეობრივი რყევის მასშტაბებზე. საქმე ის არის, რომ ტბის საშუალო მრავალწლიური დონე მხოლოდ 30-40 სმ-ით არის ამაღლებული ზღვის დონიდან. ასეთ პირობებში, როცა ზღვის სანაპირო ზოლი ადვილად რეცხვად ილამიანი ქვიშით არის აგებული, ზღვის დონის რამოდენიმე მეტრით ამაღლებაც კი საკმარისია იმისათვის, რომ ტბამ შეწყვიტოს არსებობა და მის ადგილზე გაჩნდეს ზღვის გუბე. ზღვისდონის აწევის პარალელურად მოხდება ტბის ზღვასთან დაკავშირებული არხის გარეცხვა, მისი გაგანიერება და ზღვა ფართო ყელითდაუკავშირდება ტბას და ეს უკანასკნელი გუბედ გადაიქცევა. ასევე შეწყვეტს არსებობას პალიასტომის ტბა ზღვის დონისთუნდაც 1-2 მეტრით დაწევის შემთხვევაშიც. ის გამოიწვევს ტბიდან ზღვისკენ გამდინარენაკადის სიჩქარის გაზრდას, რასაც მოჰყვება არხის ფსკერის ლამიანი ნალექების გარეცხვა და მისი დაღრმავება. ეს უკანასკნელი კი გამოიწვევს არც თუ ისე დიდი სიღრმის

მქონე ტბის დაცლას. ასეთ ვითარებას ჰქონდა ადგილი პალიასტომის ტბის რაიონში 3000-3500 წლის წინ.

პალიასტომის ტბის ბუნებრივ ეკოსისტემაზე ძლიერი ანტროპოგენული ზემოქმედებები განსაკუთრებული სიძლიერით ვლინდება მე-20-ე საუკუნის 30-იანი წლებიდან და ეს დატვირთვები, რის გამოც ტბის დეგრადირებული ეკოსისტემის გადაგვარება და საბოლოო მოსპობა ემუქრება, თუ დროზე არ მივიღეთ ზომები და თუ რა ზომებია მისაღები მოგვიანებით მოგახსენებთ.

ეხლა მივუბრუნდეთ კაპარჭინის პრობლემებს იგი არ არის შემთხვევითი, ეს არის შეიძლება მსოფლოში ერთადერთი შემთხვევა, რომელიც ტბიდან გამოედინება და კლავ მას უერთდება ე.ი. კაპარჭინის მდგომარეობა პირდაპირ დამოკიდებულია პალიასტომის ტბის მდგომარეობასთან. მას შემდეგ, რაც კოლხეთის სამხრეთ მასივის აღმოსავლეთის მთის ძირა არხი შეუერთდა ამ მასივის დასავლეთის მთის ძირა არხს (დედაბერას), რიონი შემოიზვინა და პალიასტომი პირდაპირიარხით დაუკავშირდა ზღვას, როგორც ფიჩორმა, ისეკაპარჭინამ დაკარგა თავისი ძირითადი მკვებავი წყაროები და ერთიც და მეორეც, განსაკუთრებით კი კაპარჭინა დამდგარ დამყაყებულ გუბურად გადაიქცა.

ღღეს აქ მარტო მისი გაწმენდა პრობლემას ვერ გადაწყვიტავს, ვერც მისი ძველი ტრასის აღგენა მოგვცემს სასურველ შედეგს, თუ მას ისევ გამდინარეს არ გავხდით. ეს კი მხოლოდ ორი გზით არის შესაძლებელი: მდინარის არიალის გაზრდით ან წყლის საჭირო ხარჯების ხელოვნური მიწოდების გზით.

როგორ მოვახერხოთ ეს?! არსებობს სხვადასხვა მოსაზრებები.

ამოცანის სარეალიზაციოდ მარტო სამხრეთის ტბისძირა არხის ისევ ფიჩორში ჩაგდება საბოლოო შედეგს ვერ მოგვცემს, რადგან აღნიშნული წყალმდინარე ისევე, როგორც მასში არსებული ღელეები, ნაკადულები უპირატესად წვიმით კვების წყალნაკადებია და ამდენად სასურველ დინებას კაპარჭინაში მხოლოდ პერიოდული ხასიათი ექნება. სპეციალისტების აზრით მიზნის მისაღწევად საჭიროა:

- პალიასტომის ტბის გადაკეტვა კაშხლით. მდინარე კაპარჭინის გაწმენდა-გაფართოება პალიასტომიდან ზღვის შესართავამდე;

- წყალშემაკავებელი ჯებირებისა და წყალგადამჭერი დახურული გალერეის მოწყობა კაპარჭინის გასწვრივ სატუმბო სადგურით გალერეის ბოლოში.

ბუნებრივია ჩამოთვლილი ღონისძიებები მოხსნის პალიასტომისტბის გამტკნარების პრობლემას. აღნიშნულის განხორციელება დაკავშირებულია დიდი მოცულობის კაპიტალდაბანდებებთან. ღღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით მისი განხორციელება, ნაკლებად სავარაუდოა, ხოლო რაცშეეხება მდინარე კაპარჭინისა და პალიასტომის ტბისგაჯანსაღების მეორე გზას, ის უნდაგანვიხილოთ ნაპირდაცვის პრობლემებთან დაკავშირებულ მოსაზრებებთან ერთად. მის არსს წარმოადგენს მდ. რიონის ქალაქის არხის საშუალებით ქალაქის წყლის საანგარიშო ხარჯების (460/500მ.კ) გადანაწილებას არსებული იპოდრომის არხით, მდ კაპარჭინის კალაპოტში იმგვარად, რომ დაიწყოს მისი რეაბილიტაცია.

პლაჟშემქმნელი ნატანის დადებითი ბალანსის შექმნა მოხსნის კაპარჭინის პრობლემას მთლიანად და გახდის მას გამდინარეს დაჩქარებს პალიასტომის გამტკნარების პროცესს და კვლავ გადააქცევს მტკნარ ტბად. მოსპობს პალიასტომის გამტკნარების მიზნით სრუტის გადაკეტვის აუცილებლობას, რაც რიონის ექსტრემალური წყალდიდობისა და წყალშემაკავებელ ჯებირების მოსალოდნელი გარღვევის შემთხვევაში ქალაქის დატბორვისაგან დაცვის უკეთეს პირობებს შექმნის.

არსებობს მესამე ვარიანტი, ყველაზე ხელსაყრელი და ყველაზე იაფი.

1960-70- იანწლებში ტრესტ “კოლხიდმშენის” №3 სამშენებლო- სამონტაჟო სამმართველომ მდ.რიონის ზემო ბიეფში ჩაატარა მთელი რიგი სამუშაოები, კერძოდ მდ. რიონის ყველაზე ხელსაყრელი ადგილიდან გაჭრა არხი მოაწყო წყალმარეგულირებელი ფარი (შლუზი) და შეუერთა მდ. შავდელეს, რომელიც უერთდება პალიასტომს და ტბაში მდ. რიონიდან მუდმივად შედიოდა წყალი, რომელიც ასაზრდოებდა ტბას, ამტკნარებდა მას, მაგრამ დროთა განმავლობაში უყურადღებობის გამო ეს არხი მოისილა, დაკარგა თავისიდანიშნულება.

მდ. შავდელის მთლიანი სიგრძე შეადგენდა 3.805 კმ. ღღეის მდგომარეობით შეადგენს 2.7 კმ-ს, აღსადგენი მონაკვეთის სიგრძე შეადგენს 1,1 კმ-ს (ნახაზთან ერთვის).

რატომ არის ეს ვარიანტი, ყველაზე უკეთესი და სანდო?!

ამ არხიდან რიონის წყალგამყოფ ჰიდროკვანძამდე, არის დაახლოებით 1.2 კმ, ამიტომ საჭიროა ჰიდროკვანძის ექსპლუატაციის ოპტიმალური რეჟიმის შემუშავება ე.ი. რეგულიატორისა და კაშხლის ფარების მუშაობის, მისი მანევრირების ავტომატიზაცია, რაც მოგვცემს შესაძლებლობას მდინარეში წყალმეჩხერობის დროს ფარების რეგულირებით არხში მუდმივად გავატაროთ წყლისსა სურველი მოცულობა. ასევე თავის დროზე მდ. ფიჩორსაც არხით უერთდებოდა მდ. რიონი, ამ სამუშაოების ერთობლიობა, მოგვცემს საშუალებას პალიასტომი ახლანდელი მლაშე ლაგუნიდან კვლავ გადავაქციოთ მტკნარ ტბად, აღვადგინოთ წინანდელი ეკოლოგიური, ჰიდროდინამიკული, ჰიდროლოგიური რეჟიმი, რაც განაპირობებს მტკნარი წყლის იხტიოფაუნის პროდუქტიულობის სამრეწველო დონეზე აყვანას.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი სათათბიროს ურბანული განვითარების, არქიტექტურისა და ადმინისტრაციული ზედამხედველობის კომისიის თავჯდომარე
ვაგნერ მხეიძე.

/გარემოს დაცვის საკითხებზე მასალები გამოქვეყნდება შემდეგ ნომერში/

ქალაქ ფოთის მერიასა და სსიპ - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

ქალაქ ფოთის მერიასა და სსიპ - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომელიც სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ეკოსისტემის განვითარების ხელშეწყობას ითვალისწინებს.

მემორანდუმის ფარგლებში, მხარეები საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელებენ თანამშრომლობას, კერძოდ, სააგენტო უზრუნველყოფს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში სტარტაპების გენერირებისა და ციფრული უნარ-ჩვევების განვითარების ხელშემწყობი პროგრამების განხორციელებას; სააგენტოს მიერ დაგეგმილი პროექტების განხორციელების ხელშეწყობას და პროექტებში ადგილობრივი მოსახლეობის მაქსიმალურ ჩართულობას, ქალაქის პოპულარიზაციის მიზნით, ინოვაციების და ტექნოლოგიების სფეროში ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივების ხელშეწყობას.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს შორის ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმს ხელი ქალაქ ფოთის ვიცე-მერმა ლევან ჩოჩიამ და სსიპ - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, ავთანდილ კასრაძემ მოაწერეს.

რეპლიკა

პალიასტომის ტბაში თევზები იხოცებიან

რამდენიმე დღეა ქალაქის მოსახლეობა შეაძრწუნა მდინარე კაპარჭინაში თევზების მასობრივი მოწამვლის ფაქტმა. ამბობენ თევზის მოწამვლა გამოიწვია თევზის ფქვილის გადამამუშავებელი საამქროს მიერ წყალში ჩაღვრილმა ნარეცხმა წყალმა.

ადგილობრივები შიშობენ ხომ არ ემუქრება მოწამვლა მოსახლეობას, რამეთუ 80%-ი თევზის მომხმარებელია.

ვითხოვთ პასუხს ადგილობრივი ხელისუფლებისაგან თუ რასთან გვაქვს საქმე.

შეხვედრა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენლებთან



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრის (ICCC) ორგანიზებით, პროექტ ,,ინოვაციური მიდგომების გამოყენება მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერებისათვის" ფარგლებში შეხვედრა მოეწყო ,რომელსაც ფოთის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო – სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეხვედრაზე სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს უფლებამოსილებებზე, მისი შექმნისა და საქმიანობის წესზე დეტალურად ისაუბრეს. აღნიშნულ შეხვედრას ექსპერტი მამუკა აბულაძე და სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრის (ICCC)–ის წარმომადგენელი კონსტანტინე კანდელაკი უძღვებოდა.

ფოთში საგაზაფხულო გამწვანების ღონისძიებები დაიწყო

ფოთში საგაზაფხულო გამწვანების ღონისძიებები დაიწყო. საგაზაფხულო რგვების ფარგლებში, ამასწინათ, გამწვანების აქცია ნიკოლაძის სანაპიროზე მოეწყო.

გამწვანების აქციაში მონაწილეობა ქალაქ ფოთის ვიცე-მერმა და საკრებულოს თავმჯდომარე ალექსანდრე თოფურიამ მიიღო.

გამწვანების ღონისძიების ფარგლებში შპს „ინფრასტრუქტურა 2008"- ის ორგანიზებით " ნიკოლაძის სანაპიროზე 50 ძირი კედარი დაირგო.

გამწვანების სამუშაოები წინასწარ შერჩეულ ტერიტორიებზე, სპეციალისტების რეკომენდაციებით შემუშავებული გეგმის მიხედვით ტარდება.

ეკონომიკა

ფოთში, სექტემბერში 3000 კაცზე სამკერვალო ფაბრიკა გაიხსნება

საპორტო ქალაქი, არცთუ შორეულ წარსულში სხვადასხვა დარგების განვითარებით საქვეყნოდ გამოირჩეოდა, მათ შორის იყო გემთმშენებლობა, მანქანათმშენებლობა, ელექტროტექნიკური მრეწველობა, საოკეანო და სანაპირო თევზრეწვა, სატრიკოტაჟო წარმოება და ა.შ, რაც სსრკ-ს დაშლის შემდეგ მოიშალა და ფუნქციონირება შეწყვიტა. ათასობით ადამიანი უმუშევარი დარჩა და იძულებული გახდა საზღვარგარეთ წასულიყო სამუშაოდ, რათა ოჯახი გადაერჩინა.

ბოლო დროს ქალაქში დაიწყო ერთგვარი შემობრუნება ეკონომიკისაკენ. მოიზიდეს ინვესტიციები, ამოქმედდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, მიმდინარეობს კულტურულ-სპორტული ობიექტების მშენებლობა. მალთაყვის სანაპირო ზოლის მშენებლობაზე 18 მილიონი დაიხარჯება, რაც ხელს შეუწყობს ტურისტების მოზიდვას.

ამჟამად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სამკერვალო ფაბრიკის კომპლექსის მშენებლობა, მალთაყვის უბანში, რომელიც სექტემბერში დასრულდება. ფაბრიკაში დასაქმდება 3000 მუშამოსამსახურე. მშენებლობას აწარმოებს თურქული კომპანია ,,აჯარა ტექსილე". კომპანიის მენეჯერი გახლავთ ფოთელი გიორგი ალანია, ეს დიდი ნდობაა და ვუსურვებთ წარმატებებს ამ დიდ საქმეში. კომპანია ასევე ზრუნავს კადრების მომზადებისათვის, გახსნილია ჭრა-კერვის სასწავლო კურსები

მის: აკაკის 86 ტელ: 577 96 22 66

აღსანიშნავია, ისიც, რომ პარალელურად მიმდინარეობს მეორე სატრიკოტაჟო ფაბრიკის მშენებლობა ნაბადის უბანში, სადაც 2000 კაცი დასაქმდება. ასევე მიმდინარეობს სხვა ობიექტების მშენებლობა, ნავსადგურის გაფართოება და ა. შ.

ასე, რომ ქალაქის ეკონომიკის განვითარებაში სერიოზული ძვრებია და კარგ შედეგებს უნდა ველოდოთ.

მილოცვა

დარეჯან გეფერიძეს

გულითადად გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულსა და ბედნიერებას, ახალახალ წარმატებებს თქვენს მრავალმხრივ შემოქმედებით საქმიანობაში ჩვენი ქალაქის საკეთილდღეოდ.

დაე, მუდამ გეთქვათ დიდი პოეტის სიტყვები:

,,ვლოცავ დღეს ჩემი გაჩენის, ბედნიერი ვარ მე"!

რევაზ ჭანტურია, ვიტალი ბულია და ლელა ჭანტურია.

სამაღლობელი

ექიმს ანა მაბილუას

მინი დოსიე:

ანა ბაბილუამ დავით აღმაშენებლის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ორდინატურა სპეციალობით ,,რევმატოლოგია" ბელორუსიაში გაიარა, ყავს მეუღლე ირაკლი მეფორია, და შვილი ალექსანდრე. ამჟამად მუშაობს ფოთის ამბულატორიულ ცენტრ ,,ევექს"-ში, პოლიკლინიკა №2, ,,იკამედი".

მინდა თქვენი გაზეთის მეშვეობით მადლობა გადავუხადო ახალგაზრდა ექიმს-ანა ბაბილუას, კარგ სპეციალისტს რევმატოლოგს ეფექტური მკურნალობისათვის, კეთილშობილებისათვის.

ღმერთმა ამრავლოს ასეთი ნიჭიერი ექიმები ჩვენს ქალაქში.

ნანი გოგოლი

მილოცვა

ნანი მიმინოშვილს

დაბადების დღეს გილოცავთ უკეთილშობილესო ქალბატონო, თანადგომით, ჰუმანურობითა და სიყვარულით გამორჩეულო, რამეთუ გულთან მიგაქვს ყველას გასაჭირი და სიხარული, და მთელი ცხოვრება ქვეყნის სამსახურს შეალიე ისე, რომ პირადი ცხოვრებისათვის ვერ მოიცალე, მშობელთა ამაგის საოცრად დამფასებელმა და ხსოვნის უკვდავმყოფმა.

გისურვებ მხნეობას, ჯანმრთელობას, სიხარულს, მოყვასის სიყვარულსა და თანადგომას.

ინგა აბრალავა.

ფარნავაზის და ქუჯის ძეგლი ციხე-გოჯთან, ისტორიულ ადგილზე უნდა დაიდგას

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მთავარ მრჩეველს, ბატონ გოგი გეგეჭკორს, სენაკის რაიონის გამგებელს, ბატონ გოჩა დგებუაძეს,

რაიონული საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ჯუმბერ ლაშქარავას

,,ფაზისის" საერო-სამეცნიერო აკადემია მიესალმება სენაკის რაიონში ნოქალაქევში მდებარე ისტორიული ძეგლის -ციხე-გოჯის (არქეოპოლისი) კაპიტალური აღდგენა შეკეთებისა და ძირეული გამაგრების სამშენებლო სამუშაოების დაწყებას, ასევე მხარს ვუჭერთ სრულიად საქართველოს (იმერ-ამერის) პირველი გამაერთიანებლების-ქართლის მეფე ფარნავაზისა და კოლხეთის (ეგრისის) ერისთავთ-ერისთავის ქუჯის ერთობლივი ძეგლის აღმართვას თბილისში, რუსთაველზე, ქაშვეთის წინ ილიასა და აკაკის ერთობლივი ძეგლის ანალოგიით. მათი ისტორიული ღვაწლისა და დამსახურების პატივისცემის ნიშნად.

ბუნებრივია, ძეგლი სავსებით შესაძლებელია დაიდგას სენაკის ცენტრშიც, მაგრამ ევროკავშირის წევრი ქვეყნების საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად არქეოლოგიური კვლევით მოძიებული მატერიალურ-ისტორიული ნივთები არ ექვემდებარება სხვაგან გატანას მოძიების გეოგრაფიული პუნქტიდან, მ. შ. ცენტრშიც კი, რადგან მოძიებული ნივთები და სხვა მატერიალური ფასეულობანი მოქმედი კანონმდებლობით უნდა იქნეს გამოფენილი იქვე ადგილობრივ მუზეუმ-საცავში.

მოგეხსენებათ, რომ საქართველო სულ მალე გახდება ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი და ბუნებრივია, ამ ზონაში მოქმედი კანონმდებლობა ჩვენთვისაც შესასრულებლად სავალდებულო გახდება... ამიტომ ფარნავაზისა და ქუჯის ძეგლი უნდა დაიდგას ციხე-გოჯის ტერიტორიაზე, შესასვლელი გალავნის წინ. რაღა თქმა უნდა სახალხო კომისიის განხილვისა და მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

გთხოვთ თქვენს მხარდამჭერ სახელმწიფოებრივ, არგუმენტირებულ გადაწყვეტილებას, რაც დარწმუნებული ვართ მნიშვნელოვნად გაამდიდრებს სენაკის რაიონის, სამეგრელოსა და სრულიად საქართველოს ტურისტულ პოტენციალს.

უღრმესი პატივისცემით,

,,ფაზისის" საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი, ეკონომიკის დოქტორი, აკადემიკოსი ნუგზარ ნადარაია

სწავლული მდივანი ვიცე-პრეზიდენტი, პროფესორი ლიანა წურწუმია.

წარსულის საიდუმლოებანი

ათლანდუ



მეცნიერთა კვლევების თანახმად, ათლანდუს (დღევანდელი ატლანტიკა) წინარე პერიოდის შესწავლის მიზნით, არსებობს სხვადასხვა ურთიერთგამომრიცხავი დასკვნები, რომელიც არ ასახავს იმ რეალობას თუ საიდან იღებს სათავეს, ტოპონიმი „ატლანტიკა", გარკვეული ნაწილი მეცნიერების ატლანტიკის მოსახლეობას კოსმოსიდან მოსული მაღალი ცივილიზაციისა და კულტურის დასახლებულ ადგილად მოიხსენიებს; მეორენი, რადიკალურად განსხვავებულ მტკიცებულებებს წარმოადგენენ, როგორებიც გახლავთ: კუსტო, პაკალე და ბორჰარდი. ეს უკანასკნელი, თავის წიგნში: „ატლანტიდის ძებნაში", აღფრთოვანებული ატლანტიდას საჰარას ადარებს, ხოლო აფრიკის ერთერთ ტომს „ბერბერებად" მოიხსენიებს: „რომელთა წარმომავლობა საიდუმლოებით არის მოცული"-ო. ასევე, გარკვეული ნაწილი ქართველი მკვლევარებისა „ბერბერებს" „ბერბიჭად" მოიაზრებენ და საქარიას (ზესტაფონის რ-ნი) საჰარას ადარებენ, რაც არასწორ მტკიცებულებად მიმაჩნია! ვინაიდან, თავად ტოპონიმი „ბერბერი" არ ნიშნავს „ბერბიჭს" და არც ეს ტომი მიეკუთვნება იბერთა შთამომავლობას. მართალია და სრულად ვეთანხმები, რომ რეალურად არსებობს აფრიკაში ტომი, რომელიც ატარებს „ბერბერის" სახელწოდებას, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ისინი იბერიული რასის შთამომავლები არიან; პირიქით, ისინი არა იაფეტისანი, არამედ ქამიტურ მოდგმას განეკუთვნებიან, როგორც სხვა დანარჩენი აფრიკის მოსახლეობა. აქედან გამომდინარე, ის ერთერთი ტომი, აფრიკის მოსახლეობის, რომელიც ატარებს „ბერბერის" სახელწოდებას, როგორც ამას ბორჰარდი ამტკიცებს, არ მიეკუთვნება იბერთა შტოს და არ არიან მათი კანონიერი მემკვიდრენი. ეს უფრო ხელოვნურად დარქმეული სახელია, აფრიკული ტომისა, მათივე ინტერესებიდან გამომდინარე, როგორც გარკვეული ნაწილი სომხების, რომლებიც ქართულ გვარს ატარებს და შესანიშნავად ფლობენ ქართულ ენას. განა შეიძლება ჩავთვალოს ისინი თავისი წარმომავლობით, ძირით ქართველებად?! რა თქმა უნდა არა! ასევე გახლავთ, ის ერთერთი ტომი აფრიკის, რომლებმაც საკუთარ თავს „ბერბერები" უწოდეს, რაც მათი ცხოვრების სტილიდან გამომდინარე, გაზვიადებული და იმპროვიზირებულია, როგორც ჯაზში, სახელწოდებაც ხომ ამაზე მიგვანიშნებს „ბერბერი".

რაც შეეხება ატლანტიკას, ისიც არასწორად არის სახელდებული, ინდოევროაფრიკული მოდგმის მიერ. სინამდვილეში ატლანტიკა სახელცვლილი ტოპონიმია „ათლანდუ"-სი, სადაც, წარღვნამდე სახლობდნენ ღვთის სარწმუნოებისაგან განდგომილი ხალხები და არა მაღალი ცივილიზაციის მოსახლეობა, რომლებსაც კოსმოსიდან მოსულებად თვლიდნენ. ბიბლია გვამცნობს: „გადმოხედა ღმერთმა ქვეყანას და, აჰა, წარყვნილიყო იგი, რადგან გაერყვნა ყოველ ხორციელს თავისი ზნე ამ ქვეყანაზე" (დაბ.6,12) დიახ, ეს იყო მკვეთრად დაბალი კულტურის ცივილიზაცია და არა მაღალი სულიერების მატარებელი რასსა. ეს იყო ხანა, რომელიც ნოეს ეპოქის სახელით არის ცნობილი. ბიბლია გვეუბნება, ღვთის მიერ კაცობრიობის დასჯა მათივე გაუკუღმართებული ცხოვრების გამო მოხდა, რომ ისინი აღრეული სისხლის წესით ცხოვრობდნენ, ამის გამო, გარყვნილ კაცობრიობას ღმერთმა მოუვლინა საშინელი წარღვნა. გადარჩა მხოლოდ ნოე, თავისი ოჯახით. და აი, მივადექით აღნიშნული თემის მთავარ საკითხს, „ათლანდუს" ეტიმოლოგიას (წარმოშობას), თუ საიდან იღებს იგი სათავეს და რომელი რასის მიერ ხდება აღნიშნული ტოპონიმის პირველადი განვრცობა. ეს გახლავთ, იაფეტის მოდგმის მიერ განზოგადოებული სახელწოდება, რაც ძველ მეგრულიდან იღებს სათავეს, რაც ქართულად ნიშნავს „აქ ლანდად ჩანს", რაც მიანიშნებს წარღვნამდელი ცივილიზაციის ადგილს - ტერიტორიას, სადაც ლანდის სახით გამოჩნდებოდა ხოლმე ჩაძირული ქალაქი - სახელმწიფო, რომელიც წარღვნის შემდგომ წყლით დაიფარა და იგი დღეს ატლანტიკის სახელით არის ცნობილი. ხოლო რაც შეეხება კიდობანს, ეს არ გახლავთ ის უზარმაზარი ნაგებობა ანუ გემი, რომლის აშენება ღმერთმა ნოეს დაავალა და რომელმაც საშინელ წარღვნას გაუძლო, ეს გამორიცხულია! აქ არის სიბრძნე! კიდობანი იგივე კირიბია, რაზეც ღვთის დაფარული უწყება იყო დაბეჭდილი. იცოდა რა ნოემ მოსალოდნელი წარღვნის შესახებ და კირიბზე მითითებული ადგილისაკენ თავისი სახლითურთ გაეშურა, როგორც კი შევიდა იმ სახელმწიფოში ანუ კიდობანში, უმალ დაიწყო საშინელი წარღვნა, რაც ორი წელი გაგრძელდა. მკითხველს, დარწმუნებული ვარ დაინტერესებს, თუ რომელი ქვეყანა (სახელმწიფო) იყო, რომელიც ღმერთმა დაიფარა წარღვნისაგან, რაც ბიბლიაში კიდობანის სახელით არის ცნობილი, ეს გახლავთ ხეთა, დღევანდელი ხობის რ-ნი, სადაც ნოე თავისი ოჯახით დასახლდა და აღაშენა ჯეგეთას მთაზე სასულიერო სკოლა, რომელიც ნოეს სასულიერო სკოლის სახელით იყო ცნობილი. ეს საინტერესო და რეალური ისტორია, ამით არ სრულდება, ოღონდ ეს თემის სხვა გაგრძელებაა, რასაც აუცილებლად შევეხები. ასევე რაც შეეხება იმის მტკიცებას, თითქოს ბუნებრივ კატაკლიზმებს გამოეწვიოს დედამიწის ღერძიდან 30 -ით გადაწევა, რამაც წარღვნა გამოიწვია, მიმაჩნია არასწორ მტკიცებულებად და ის ათეისტების ბოდვად უნდა იყოს მიჩნეული. მაგრამ ვცადოთ და დავუშვათ, რომ ასეთ ფაქტს ჰქონოდა ადგილი, როგორც ამას ათეისტები ამტკიცებენ, იცით რა მოხდებოდა სამყაროში? სამყარო, უმალ შესწყვეტდა არსებობას. ვინაიდან, ღვთის მიერ შექმნილი სამყარო საათის პრინციპით არის აგებული, სადაც ყოველი მემბრანა ანუ პლანეტა ერთმანეთის თანხვედრაშია, რომ საათმა ანუ სამყარომ გამართულად იმუშაოს, ხოლო საათის ერთერთი მემბრანის, ამ შემთხვევაში დედამიწის ღერძიდან გადაწევა - ამოგდება, საათის გაჩერებას გამოიწვევდა, რაც ბუნებრივია სიცოცხლის მოსპობით დასრულდებოდა. ღმერთი კი თავისი სიკეთის განადგურებას არ დაუშვებდა; პირიქით, სამყაროს გამართულად რომ ემუშავა გარეცხა, გაწმინდა ნაგვისაგან მემბრანა (დედამიწა), რამაც საშუალება მიცა მის მიერ შექმნილ სიკეთეს (სამყაროს) სიცოცხლის ანუ მუშაობის გაგრძელებაში. რაც შეეხება სახელწოდება „ათლანდუს", რომელიც დღეს ატლანტიკის ოკეანის სახელით არის ცნობილი, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ეს გახლავთ ძველმეგრული



სახელწოდება კიდობნიდან ანუ კირიბიდან, (რაც ასევე ძველმეგრული ტოპონიმია და ნიშნავს ცხვრის ტყავს) გამოსული იაფეტის მოდგმის, იგივე იბერების მიერ განზოგადოებულია, რაც შემდგომ ინდოევროაფრიკელი ხალხების მიერ ათლანდუს ტოპონიმის სახელცვლილება ასოთა ჩანაცვლებით განხორციელდა, სადაც ასო „თ" შეცვალეს ასო „ტ"-თი, რაც მათ ენაზე მორგებული იყო და მას შემდეგ, დღემდე იგი ატლანტიკის სახელი მოიხსენიება.

ეს გახლავთ ის რეალობა, რის შესახებ დუმს მსოფლიო და მასთან ერთად ქართველი მეცნიერები, მაგრამ შუბი ხალთაში მაინც ვერ დაიმალება!

იხ. გაგრძელება შემდეგ ნომერში.

ნიკოლოზ იბერი
/15.03.2017წ./

მილოცვა

ალეკო დოლბაია -55
მზე შუბისტარზე-ცხოვრების შუადღე



,,ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასაო"- საქართველოს წინსვლის,პროგრესის ეს აქსიომა ქართველსავე ხალხს ეკუთვნის თაობათა მონაცვლეობისა და თანაარსებობით რომ მოადწია დღემდე გლობალიზაციის ეპოქაში. თუმცა, არაა იოლი საქმე ბატონ შალვა დოლბაიას აჯობო, როგორც დიდ ქართველს, მეცნიერს, მოქალაქესა და პატრიოტს. ყველას გასახარად შვილი მამის კვალს ბავშობიდან მოჰყვება, ეს შორიდან მომავალი სიყვარულისა და კაცობის გზაა. დასანანია, რომ დაბადების დიდი იუბილე მშობლების გარეშე, კოლორიტი მამის სადღეგრძელოების გარეშე ჩაივლის, გამორჩეული ჩვეული პირდაპირობითა და იუმორით. რას იზამ, სიცოცხლე გრძელდება, ძაფი არ წყდება.

დრო კი მიფრინავს ლურჯა ცხენებით, წლები სიმდიდრედ ემატება-ბავშვობა, სკოლა, სტუდენტობა, სამშობლოს გააზრება, რწმენა, და პირადი პასუხისმგებლობა ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში საკუთარი წვლილისათვის. საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ეროვნული გმირის ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლობა,. გვერდში დგომა, ერთგული, უდალატო, სიტყვისა და საქმის კაცის სახელის დამკვიდრება დიდ შრომასა და მონდომებას მოითხოვდა.

ყველაზე დიდი სიმდიდრე ადამიანებს შორის ურთიერთობაა-დიდია ბატონ ალეკოს სამეგობრო წრე-მეცნიერები, ხელოვანები, მწერლები, მსახიობები, პოეტები, თავადაც მრავალმხრივი პიროვნებაა, მუდამ ხალისიანი, სტუმართმოყვარე, ყველას ჭირის მოზარე. მისი ცხოვრების უმთავრესი კრედო-ლაიტმოტივიც სამშობლოს სამსახურია. მისი წარსული, დღევანდელობა და მომავალი, ამიტომაც ყოველი დღე ოპტიმიზმითაა აღსავსე.იგი ბევრი მნიშვნელოვანი და კარგი საქმის სათავეებთან იდგა. დიდი წვლილი მიუძღვის გაზეთ ,,ფოთის უწყებანის" კომპიუტერულ უზრუნველყოფაში, რომელიც მაშინ კვირაში 4 ჯერ გამოდიოდა, თანაც პარტიული და სამოქალაქო დაპირისპირების პიკზე, რაც ნამდვილად არ იყო იოლი საქმე.

წარსულის დიდება, ეროვნულობა, დირსება და კოლხეთის მწუხარე სული არ ასვენებს და თავისი წვლილი შეაქვს ჩვენი სამშობლოს მატიანეს-,,ფაზისის" აკადემიის ყოველწლიურ ჟურნალ ,,ცოტნეიდელის" გამოცემაში და როგორც აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი გვერდში უდგას ,,ფაზისის" აკადემიის პრეზიდენტს, ბატონ **ნუგზარ ნადარაიას** ამ დიდ საშვილიშვილო საქმეში, რათა წარმოჩინდეს კოლხეთის წაუკითხავი დიდი ისტორია, მანამდე უცნობი ფაქტებით, რათა წარსულის ათასწლეულები არ დაეკარგოს ქვეყანას, რაც ეროვნული ცნობიერების განმტკიცების სამსახურში უნდა იყოს, რათა ახალმა თაობამ იაროს ღვთიური გზით.

სიცოცხლეს, ბრძოლას, შრომას, აზრი აქვს მაშინ, როცა ოჯახი ზურგს გიმაგრებს. ცნობილი მეცნიერი მაია ამადლობელი, კარგი მეუღლე და დედა, კარგი შვილების აღმზრდელი, დიდებული მოქალაქე და მასპინძელია. აღსანისნავია ისიც რომ მათი შვილები სახელმწიფომ უცხოეთში გააგზავნა უმაღლესი განათლების მისაღებად, როგორც წარჩინებული სტუდენტები.

55 წელი - ჩვენი ფრიადოსანი ძმადნაფიცისა მართლაც რომ დიდი იუბილეა,ეს ხომ ცხოვრების შუადღეა-როგორც იტყვიან- მზე შუბისტარზეა. ,,დროს ყველა მიაქვს ძველი, ჩვენი კაცობის გარდა". წინ დიდი გზა აქვს გასავლელი ჩვენს საამაყო მამულიშვილს, რომელთანაც ურთიერთობა და მეგობრობა დიდი ბედნიერებაა.

დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებთ ჩვენს იუბილარს ქვეყნისა და ღვთის სამსახურში, იმ ქვეყნისა, რომელიც ეწამა ქრისტესათვის და რომლისთვისაც ადეკვატურია გზა ჯვარცმისა და აღდგომისა.

მილოცვას ვამთავრებთ მისივე ლექსით:

,,ჩამოიბერტყავს მთები ამ ბარებს,
და ღრუბელ-ღრუბელ ცრემლებს ჩამოჰყრის,
ვგრძნობ, უზარმაზარ სევდას ვატარებ,
მშობლიურ მიწის მკერდში
გამოცრილს"...

ჩვენო საყვარელო ძმაო და მეგობარო, ალეკო-
,,სამშობლოს სამსახურისთვის ჩანგი გიკურთხოს ზენამა"!..

,,ფაზისის" საერო-სამეცნიერო
აკადემიის პრეზიდიუმი
გაზეთ ,,ნიკოლაძის გზით"
რედაქცია

****

55 წლის ალეკო დოლბაიას
(ექსპრომტად)

ნაღდი ,,ცოცნეიდელი" ხარ,
ჯარგ საქმეთა დამამშვენი,
მომავალში დაფასდემა,
სახელი და გარჯა შენი.

არ მოგაკლდეს ჯანი, ღონე,
ღმერთმა გაშორეს ცკიცილი,
შენს ბაღვემში არ განელდეს
ჯოლხური სისხლის ყიჟილი.

გაგიმრავლდეს მეგობრემი,
ნუ გეყოლემა მოშურნე,
დამადემის დღეს გილოცავ
შენთვის სიკეთის მოსურნე!

პატივისცემით და მეგობრული
სიყვარულით, საქართველოს
სახალხო არტისტი
თენგიზ უთმელიძე
12 მარტი, 2017 წელი

მეზის სტუმრობა

ცნობილი მეფუტკრე და სახალხო მთქმელი

ნაპო თოდუა

უცოდველი

გალაქტიკაში მოვნახე მე სამყარო
უცოდველი,
ვიჩალიჩე, ამ თვის მოლოს
5 კაცის ვიზას ვეღი,
5 ცოდვილი კაცი ამ სამყაროს არ
ყოლია,
ამ სამყაროს გადარჩენა ამ ძველი
გზით არ მგონია.

****

ნდობა

ორი პოლუსი, ნდობის და
უნდობლობის,
ეს მუშა ფაქტორი ყოველ ნამიჯზე
მოდის,
ვის ენდობი და ვის არა
ინტუიციით მოგვდის,
ყოველთვინ ვეღარ ამართლემს და
შეცდომემი მოგვდის,
რა გინდ შეცდომა მოგვდის,
მე მაინც მჯერა ნდობის
შავი და მნელი სამყარო
უნდობლობიდან მოდის...

****

სიძძო

ჩემი საბმოს ფასი ვიცი, არ
მეშლემა ჭონა,
სხვა სიმდიდრეს მირჩევნია,
ამ სიმდიდრის ქონა,
ჯადოსნური ბალა აქვს
საბმაკაცოს აურას,
მის გარეშე ჩვენი ყოფა
ემსგავსემა აუ რას!!!

წელთა გადასახედი

მილოცვა იუბილარ ნაზი ჯინჭარაძეს

წლები სიცოცხლის დიდ გზას ისე მიუყვება, უკან მოხედვასაც ვერ ასწრებ, -ბავშვობა, უდარდელი ხანა, ვიდრე ჭკუა მოგეკითხებოდეს, შემდეგ პასუხისმგებლობა სწავლა-განათლების უწყვეტი პერიოდი... თითქოს არაფრით იყო გამორჩეული ნაზი ჯინჭარაძის ცხოვრების გზა, მაგრამ ეს ერთი შეხედვით, და თუ ჩაუკვირდებით იყო რომანტიზმი, პოეტურობა, აღფრთოვანება, პოპულარობა და ტკივილიც. რამდენადაც ყველაზე მგრძნობიარე ქალებს ცოტა რამ ახარებთ და ცოტა - წყინთ, მათ შორის დაუნახაობა და შეუფასებლობა, თუმცა, როგორც თვითონ ამბობს მეტი პოზიტივი და კეთილი ადამიანები იყვნენ და არიან მის ცხოვრებაში, რომელთაც გადაწყვიტეს კიდეც მისი პროფესიული და სამსახურეობრივი ბედი, ამიტომაც მისი ბიოგრაფიაც საკმაოდ ტევადი და მრავალფეროვანია-სკოლა, ინსტიტუტები, ქართული ენისა და ლიტერატურის კარგი სპეციალისტი, რომელმაც თავიდან კომკავშირულ და პარტიულ სამუშაოებზე გამოიჩინა თავი, შემდეგ იყო დაწყებითი სკოლის დირექტორი, კულტურის საქალაქო განყოფილების გამგის მოადგილე, კერძო სკოლის დირექტორი, სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების ფსიქოლოგი, პარალელურად კითხულობს ლეციებს უმაღლეს სასწავლებლებში, 1997-2004 წლებში მუშაობდა ხუტა ბერულავას სახელობის ბავშვთა ფონდის ფოთის კომიტეტის თავმჯდომარედ,ის იყო პირველი ქველმოქმედი ქალი, რომელიც ეხმარებოდა სოციალურად დაუცველებს. საქალაქო საბჭოს აღმასკომში ბევრი რამ ისწავლა ორგანიზატორული თვალსაზრისით, რისთვისაც დიდ მადლობას უხდის ცნობილ პიროვნებებს **გეორგი კუხალეიშვილს, გია დარჯანიას, ბაკურ გულუას,** რომელთაც გზა გაუხსნეს ცხოვრების ასპარეზზე. ასევე მას მოუწია ურთიერთობა განათლებისა და კულტურის სამინისტროთა ხელმძღვანელებთან, ბატონებთან **გიორგი ჯიბლაძესთან და ოთარ თაქთაქიშვილთან**, ეამაყება რომ ამ პერიოდში მიენიჭა ,,სახალხო განათლების წარჩინებულის" წოდება.პარტიის საქალაქო კომიტეტის მაშინდელი მდივნის **ნუგზარ საჯაიას** რეკომენდაციით დაინიშნა ფოთის კულტურის სახლის დირექტორად, რომლის საქმიანობაში ახალი შემოქმედებითი მუხტი შეიტანა. პატარებისა და მოზარდი თაობის ესთეტიკური აღზრდის მიზნით აღადგინა თოჯინების თეატრი, მოიწვია სპეციალისტები, რამაც თეატრს დიდი აღიარება მოუტანა. შემდეგ კულტურის სახლთან ჩამოაყალიბა ვოკალურ ინსტრუმენტალური ანსამბლი ,,ია-ია". სახალხო კინოსტუდიის ჩამოყალიბება იმ დროისათვის უპრეცედენტო შემთხვევა იყო, რომელიც განხორციელდა უშუალოდ მინისტრის მითითებთ. ქალაქში ყოველ წელს ტარდებოდა ,,ფაზისობის" დღესასწაული, მათ შორის მალთაყვის ტყე-პარკში, სადაც სცენარისტი და რეჟისორი თავად იყო. მას მიჰყავდა ,,ცისფერი აგანიოკები", როგორც საახალწლო ასევე სხვა სადღესასწაულო ღონისძიებები. 2008 წლის რუსეთ- საქართველოს საშინელი ტრაგედიის პერიოდში თბილისში მონაწილეობდა საპატრიარქოსა და უზნაძის ფსიქოლოგიური ინსტიტუსტის პროექტში- სამხედრო მოსამსახურეებისა და ლტოლვილთა რეაბილიტაცია. მეუღლე **ზავერი ბაკურაძესთან** ერთად შექმნა დიდებული ოჯახი, გაზარდეს შვილები ეკატერინე და ზაზა ბაკურაძეები, ოჯახს ახალი სიხარული შეემატა რძალი - აქსანა მურინეცი და სიძე -ლევან ბაიდოშვილი. ეკატერინეს და ლევანს ჰყავთ პატარა ბარბარე, ხოლო აქსანა და ზაზა კი ტყუპებს ელოდებიან.

ცხოვრებაში სულ სირბილით ვერ ივლი, ბევრჯერ ჩაიმუხლა მაგრამ, მეგობრებისა და ახლობლების დახმარებით ყოველთვის შეძლო წამოდგომა და ჩატეხილი ხიდის აღდგენა.

კვლავაც ქვეყნისა და ხალხის სამსახურში ყოფნას, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას ვუსურვებთ ქალბატონ ნაზი ჯინჭარაძეს- კარგ ფოთელს, დედასა და მოქალაქეს!

მეგობრები

დიდი იუბილე

ოთარ ხომერიკი-80

ფოთი ყოველთვის გამოირჩეოდა სპორტული მიღწევებით. მას სპორტულ ქალაქსაც კი უწოდებდნენ, აქ აღიზარდნენ არამარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოში აღიარებული სპორტსმენები. მარტო ბორის პაიჭაძის სახელი იკმარებდა ამის დასტურად, რომ არაფერი ვთქვათ, მსოფლიოს ოლიმპიურ ჩემპიონზე ვიქტორ კრატასიუკზე და ევროპის მრავალგზის ჩემპიონზე ავერი მატკავანიზე. ხოლო ნანა ალექსანდრია ჭადრაკის ისტორიაში განუმეორებელია, როგორც უგვირგვინო მეფე.

ყველა ეს მიღწევები დაკავშირებული იყო სპორტული კომიტეტის თავმჯდომარეთა თავდადებულ ძალისხმევასა და სწორ ორგანიზატორულ ნიჭზე.

ძირძველ ფოთელებს კარგად ახსოვთ სპორტკომიტეტის ხელმძღვანელთა სახელები. აქ მხოლოდ რამოდენიმეს დავასახელებ: კაკო ჟღენტი, ეს ლეგენდარული პაიჭაძის თანაგუნდელი, ოთარ კემულარია, განთქმული თავისი კოლორიტულობით, ბორის გოგიჩაიშვილი, როგორც ინტელექტუალური სპორტის ხელმძღვანელი და ოთარ ხომერიკი, რომლის 80 წლის იუბილე 30 მარტს აღინიშნება. ოთარ ხომერიკის სახელთანაა დაკავშირებული მრავალი სპორტული მიღწევები. 30 წელი ედგა იგი სათავეში ფოთის სპორტკომიტეტს, ეს კი არც ისე ცოტა დროა თავის გამოსაჩენად. თავად გამორჩეული სპორტსმენი, ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის მრავალგზის პრიზიორი ძალღონეს არ იშურებდა ქალაქის წარმოსაჩენად სხვადასხვა დონის სპორტულ ღონისძიებებში. მას ლომის წვლილი მიუძღვის ევროპის პირველობის ჩატარებაში წყალსათხილამურო სპორტში, იგი გვერდში ედგა ბატონ რომან მელიას ვერცხლის ტბის განაშენიანებასა და კეთილმოწყობაში, რაც ნამდვილად არ იყო იოლი საქმე. ოთარ ხომერიკის დროს მთელი ყოფილი საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკების სანიჩბოსნო ელიტის თავშესაფარი ფოთი იყო. მდინარე რიონი, კაპარჭინა და პალიასტომის ტბა ეს ის ადგილები იყო, სადაც ვარჯიშობდნენ საბჭოთა და მოკავშირე რესპუბლიკების ნაკრები გუნდები. ამას ხომ დიდი ორგანიზატორული ნიჭი სჭირდებოდა, რაც ასე მოჭარბებულად გააჩნდა ბატონ ოთარ ხომერიკს. სამშობლოს სიყვარული, ზრუნვა მის აწმყოსა და მომავალზე არ ასვენებდა ამ დიდ პატრიოტ კაცს.

ოთარ ხომერიკს, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ დიდი წვლილი მიუძღვის ქალაქში სპორტული კომპლექსების მშენებლობის საქმეში. მისი უშუალო თაოსნობით, მთლიანი რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ფოთის ფეხბურთის სტადიონს, გაშენდა სანიჩბოსნო ბაზა და ნანა ალექსანდრიას სახელობის საჭადრაკო სახლი, სადაც სისტემატიურად ტარდება სხვადასხვა დონის შეჯიბრებები. ერთ-ერთი ოთარ ხომერიკის ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალია ჭადრაკში, წელს იგი მე-15-ედ ტარდება 25-30 მარტს.

ოთარ ხომერიკის სახელი ოქროს ასოებით შევიდა ფოთის სპორტული ცხოვრების მატეანეში.

ი. სპერი.

ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲘ ᲯᲐᲡᲐᲓ ᲧᲝᲤᲜᲘᲡ ᲡᲔᲕᲓᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ...

ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲥᲕᲘᲠᲐᲘᲐᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ



4 აპრილს 40 დღე გახდება, რაც ჩვენს გვერდით აღარახარ. 14 თებერვალს შეგისრულდა 77 წელი და 22 თებერვალს წახვედი ამ ქვეყნიდან. შენი გარდაცვალების მე-40 დღეს შევიკრიბებით შენს საფლავთან ოჯახის წევრები-მეუღლე, შვილები, შვილიშვილები, რძალი, სიძე, დები, დისშვილი, ძმისშვილები, ახლო ნათესავები, შენი მეგობრები და გაგიხსენებთ დიდი სიყვარულითა და გულის სითბოთი, რამეთუ მთელი ცხოვრება ჩვენს კეთილდღეობას მიუძღვენი, როგორ გვენატრები, როგორ გვაკლიხარ, მოუშუშებელ ტკივილად დარჩი ჩვენთვის, ისღა დაგვრჩენია, ხსოვნაში გადასულს მოგეფეროთ, გესაუბროთ ძველ და ახალ ტკივილებზე.

შენ ყველას უყვარდი, შენს კოლექტივში - კავშირგაბმულობის ფოთის განყოფილებაში 42 წელი იმუშავე, იყავი შრომისმოყვარე, უღალატო. მთელს ქალაქში გიცნობდნენ როგორც კეთილშობილ, ალალმართალ ადამიანს, რომელსაც სიკეთის მეტი არაფერი გიკეთებია, არასოდეს დაგიკარგავს კაცური ღირსება, მუდამ სტუმართმოყვარე, ფოთსა და ფოთელებზე უზომოდ შეყვარებული ასე ძალიან აკლიხარ ქალაქს. იყავი ბრწყინვალე მეუღლე, მამა, ბაბუა, ძმა და ბიძა, ოცნებობდი შენი შვილიშვილების - ოთხივე ბიჭის ბედნიერ მომავალს მოსწრებოდი, მაგრამ ყველაფერი ოცნებად დარჩა. გავყურებთ სურათს და თითქოს ჩაგვესმის კეთილი კაცის სიმღერა სიცოცხლეზე, მეგობრობაზე, სამშობლოზე, რომელსაც მართლაც კაცურად ემსახურე.

შენი წასვლით დაცარიელდა ის დიდი შეუცვლელი ადგილი, რომელიც ყველგან გეკავა ოჯახში, ახლობლებში, მეგობრებში.

არასოდეს დაგივიწყებთ და შენს იმქვეყნიურ სიმშვიდეს და მარადიულ სასუფეველს შევთხოვთ უფალს.

ᲨᲔᲜᲘ ᲝᲯᲐᲮᲘ

ᲕᲘᲖᲘᲐᲠᲔᲑᲗ ᲤᲝᲗᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲬᲔᲕᲠᲘᲡ ᲗᲐᲛᲐᲖ ᲡᲝᲡᲔᲚᲘᲐᲡ ᲛᲬᲣᲮᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲛᲐᲛᲘᲡ,

ᲯᲔᲛᲐᲚ ᲡᲝᲡᲔᲚᲘᲐᲡ

ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲕᲣᲒᲠᲫᲜᲝᲑᲗ ᲒᲐᲜᲡᲕᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲡ

ქალაქ ფოთის მერია
ქალაქ ფოთის საკრებულო

ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი სათათბირო, იზიარებს საკრებულოს წევრის თამაზ სოსელიას მწუხარებას მამის

ᲯᲔᲛᲐᲚ ᲡᲝᲡᲔᲚᲘᲐᲡ

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

ᲕᲘᲖᲘᲐᲠᲔᲑᲗ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲞᲐᲭᲙᲝᲠᲘᲐᲡ ᲛᲬᲣᲮᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲓᲔᲓᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲕᲣᲒᲠᲫᲜᲝᲑᲗ ᲒᲐᲜᲡᲕᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲡ.

,,ᲤᲐᲖᲘᲡᲘᲡ" ᲡᲐᲔᲠᲝ-ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ
ქ. ᲤᲝᲗᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲗᲐᲗᲑᲘᲠᲝ

ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი სათათბირო, გაზეთ ,,ნიკოლაძის გზით" რედაქცია იზიარებს გურამ ადამიას მწუხარებას მეუღლის,

ᲛᲐᲠᲘᲜᲐ ᲥᲣᲞᲠᲐᲕᲐᲡ

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

ფოთის საგამოფენო დარბაზი და გაზეთ ,,ნიკოლაძის გზით" რედაქცია მწუხარებას გამოთქვამს საკრებულოს წევრის, თამაზ სოსელიას მამის

ᲯᲔᲛᲐᲚ ᲡᲝᲡᲔᲚᲘᲐᲡ

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

ნინო პაჭკორია და მამუკა აბრალავა იზიარებენ მირანადა და გოშა როდონაიების მწუხარებას დედის გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ:

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ, ᲐᲒᲣᲠᲘᲡ, 4 ᲝᲗᲐᲮᲘᲐᲜᲘ ᲑᲔᲚᲔᲢᲐᲟᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ, ᲛᲘᲨᲔᲜᲔᲑᲘᲗ. ᲛᲘᲜᲘᲡ ᲜᲐᲙᲕᲔ�თᲘ 1300Მ².
ᲛᲘᲡ: ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ 16

ᲢᲔᲚ: 593 15 90 88

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲜᲘᲡ ᲜᲐᲙᲕᲔᲗᲘ ᲛᲐᲚᲗᲐᲧᲕᲐ-ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲔᲗᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ 600-800Მ². ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲐ ᲤᲐᲡᲐᲓ. ᲖᲦᲕᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲞᲘᲠᲝᲓᲐᲜ 100ᲛᲘᲗ ᲓᲐᲨᲝᲠᲔᲑᲘᲗ

ᲢᲔᲚ: 593 15 90 88

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ ᲝᲠᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ, ᲒᲐᲜᲐᲨᲔᲜᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲖᲝᲗᲘ.
ᲛᲘᲡ:ᲘᲔᲠᲣᲡᲐᲚᲘᲛᲘᲡ №4

ᲢᲔᲚ: 551 499 555

ᲮᲡᲝᲕᲜᲐ

,,ᲚᲐᲛᲐᲖᲐᲓ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲠᲓᲔᲚᲘ,
ᲓᲔᲓᲐ ᲛᲘᲪᲕᲜᲘᲐ ᲒᲛᲘᲠᲐᲓᲐ".

ᲚᲘᲓᲐ ᲞᲐᲭᲙᲝᲠᲘᲐ

კიდევ ერთი ლამაზად შვილების გამზრდელი დიდი ქალბატონი ლიდა პაჭკორია წავიდა ამ ქვეყნიდან.

იგი არ იყო სახელმწიფო მოღვაწე და ხმალამოღებული მებრძოლი, მაგრამ ქალის მოვალეობა დედობისა ქვეყნისა და მამულის წინაშე პირნათლად აღასრულა.

მისი მთავარი იარაღი სიყვარული იყო, რომლითაც შექმნა თავისი დიდებული სამოთხე-ოჯახი. ქალბატონმა ლიდამ ქვეცნობიერად ატარა ამ ქვეყნად დიდი ილიას შეგონება:

,,დედავ ისმინე ქართლის ვედრება,
ისე აღზარდე შენ შვილის სული,
რომ წინ წარუძღვეს ჭეშმარიტება,
უკან რჩეს კვალი განათებული".

დიახ, ქალბატონ ლიდას არ დაუკლია ზრუნვა, შრომა და ჯაფა ოჯახისათვის, შვილებისათვის, შვილიშვილებისათვის.

მისთვის უდიდეს ბედნიერებას წარმოადგენდა შვილების ხილვა: ,,ქგალე, ქუმორთიო ნანა - შემოგევლე მოხვედი შვილო", ამ სიტყვებში აქსოვდა იგი უდიდეს სიყვარულს, რომლის დავიწყება შეუძლებელია და ამიტომაც ამბობს ქართველი თავის ბოლო სიტყვას სიკვდილის წინ - ,,ვაიმე დედა".

სწორედ დედის ვერცხლისფერი თმაა დასტური იმისა, თუ რამდენი უძილო ღამეები გაუტარებია დამაშვრალ დედას, რომელსაც შვილები ძალიან გვიან ხვდებიან.

წავიდა ჩვენგან ოჯახზე მზრუნველი, ვალმოხდილი, დიდებული ქალბატონი და ჩვენი ვალია დავუნოოთ თუნდაც ერთი სანთელი, რათა გზა გაუნათოს უფალმა.

ᲨᲕᲘᲚᲘᲡ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲞᲐᲭᲙᲝᲠᲘᲐᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: Ქ.ᲤᲝᲗᲘ, ᲗᲐᲛᲐᲠ ᲛᲔᲤᲘᲡ №52 , ᲡᲐᲙᲝᲜᲢᲐᲥᲢᲝ
ᲢᲔᲚ: (0493) 22-25-13 ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲥᲐᲚᲐᲥ ᲤᲝᲗᲨᲘ Ш.პ.ს. ,,ᲘᲠᲘᲓᲐᲨᲘ"
E-mail: k.khobalia@gmail.com
ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
Ზ. ᲐᲑᲠᲐᲚᲐᲕᲐ